გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 2005 წელი.
№188 (5221)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხალხის სიცოცხლეა, ცხოვრებით და ქონებით ხალხის გადაწყვეტა ყველა უსახელობის დასამალავი უსაბაბოა.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ჩვენც ხომ არ გვემუქრება ტერაქტები?



ირან-ამერიკის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საქართველო მალე ბრძოლის პოლიგონად გადაიქცევა. ამ საკითხზე ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი მძიმე დასკვნების გაკეთება ალბათ, გადაჭარბებულია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მწვავდება, ერთი მხრივ, დასავლური, ხოლო, მეორე მხრივ, რუსულ-ჩინური ინტერესების დაპირისპირება. მათ ალიანსში ირანიც შედის.

იხ. მე-2 გვ.

## ჩუმად, არ გააღვიძოთ დაღლილი ბიძიები!



ცემა-ტყეპის პარალელურად ძილიც შეიძლება, მამაპაპური ძილიც ყოველგვარი სიტყვიერი საყვედურისა და ფულადი სანქციის გარეშე.

იხ. მე-3 გვ.

◉ გვეხმაურებიან

## ნუ ვიზამთ!..

დიდი ხანია, ვიცნობ ბატონ თამაზ გამყრელიძეს (ოცი, ოცდახუთი წელია). გულით გავიხარე, როცა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს.

ეს არის არა მარტო ერუდირებული, არამედ ყოველმხრივ გაწონასწორებული, უმაღლესი კულტურის მქონე პიროვნება.

ყურადღებით გავეცანი მის წერილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაუქმების მცდელობის წინააღმდეგ.

არ ვიცი, რა არის ჩაფიქრებული, რა რეფორმებზეა საუბარი, რეფორმებსა და გაუქმებას შორის დიდი სხვაობაა.

რატომ მივიყვანეთ საქმე აქამდე? ამას წინათ მე „ლიტერატურულ საქართველოზე“ ვწერდი, იქვე ვახსენე, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, ისევე, როგორც „მნათობის“, „ცისკრის“, „დროშის“, „დილას“ გაუქმების ნიშნები.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ადამიანთა რომელიღაც ჯგუფი პრეზიდენტს ისეთ წინადადებებს „შეუგდებს“ ხოლმე, რომელთა განხორციელება სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით, მომავალ თაობებს სულიერად გააღარიბებს და გაალატაკებს. ნუ ვიზამთ ასე!

ედუარდ შევარდნაძე

## ფერებთან ხუმრობა არ შეიძლება

იხ. მე-3 გვ.



## „არ დაგავიწყდეს, რომ შენიცაა ის მემლექეთი“

თავის საყვარელ სოფელში ჰაირიეში დაკრძალეთ, — თითქმის ჩურჩულებს, ისე ჰყვება ქალბატონი იუქსელი. მის საფლავს აწერია: „აჰმედმა მიწას გარიყული ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ასწია, აგვამაღლა. ჩვენც ავყევით, მაგრამ ვერ გავუტოლდით“.

იხ. მე-4-6 გვ.

◉ ინფორმაცია

### გუბერნატორი სოციალური პრობლემების მოგვარებას შეეცდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას მხარეში პრეზიდენტის ახალი რწმუნებული აკაკი ბობოხიძე წარუდგინა.

„ორი ძირითადი თვისება, რის გამოც საქართველოს პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, აკაკი ბობოხიძის პოლიტიკური გამოცდილება და უდიდესი ენერგიაა, — განუცხადა ინტერპრესნიუსს ზურაბ ნოღაიდელმა.

თავად აკაკი ბობოხიძე იმერეთში თავს უცხო ადამიანად არ თვლის და აღნიშნავს, რომ იგი უპირველესად რეგიონში მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებას შეეცდება.

აკაკი ბობოხიძე იმერეთში რიგით მეოთხე გუბერნატორია, თემურ შაშიაშვილის, დავით მუმლაძისა და გია გეწაძის შემდეგ.

### დაპირისპირება მწვავდება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში დაპირისპირება მწვავდება. აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე გუშინ საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა „რესპუბლიკელი“ მურმან დუმბაძის მიერ მედიით გაკეთებულ განცხადებებს.

მიხეილ მახარაძის აღშფოთება გაზეთ „მთელ კვირაში“ გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, განსაკუთრებით კი, ოპონენტის ერთმა ფრაზამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც, მიხეილ მახარაძის პირველი წიგნი „სხალთის ზარები“, რომელიც ასლან აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, მურმან დუმბაძემ „საკუთარი ჯიბიდან“ დააფინანსა.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ დუმბაძე მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაიცნო, აქედან გამომდინარე, იგი 1994 წელს გამოცემულ წიგნს ვერ დაუფინანსებდა.

მიხეილ მახარაძე მიიჩნევს, რომ „რესპუბლიკელები“ დაჩაგრულის იმიჯის შექმნას ცდილობენ და უმაღლეს საბჭოს ავტორიტეტს ულახავენ.

### ავტომობილები — საჩუქრად

საფრანგეთის საელჩომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჩუქრად ათი ავტომობილი გადასცა. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მანქანების საჩუქრად გადაცემის ცერემონიალი გუშინ ფოთის პორტში გაიმართა. მას საქართველოს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია და საფრანგეთის საელჩოს პირველი მრჩეველი ფაბიენ დრუ დაესწრნენ.

ათი ავტომანქანის ღირებულებაა 70000 ევრო. იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას თქმით, მანქანებს პატიმრების ბადრაგირებისთვის გამოიყენებენ.

### ადამიანები წყალმა მოწამლა?

ნაძალადევის რაიონში ასკურავას ქუჩაზე ადამიანების მოწამვლის მიზეზი წყალი არ არის. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს „თბილწყალკანალში“ განუცხადეს.

„თბილწყალკანალის“ ინფორმაციით, ის სიმპტომები, რაც ასკურავას ქუჩის მაცხოვრებლებს ახასიათებთ, არ შეიძლება წყლის მოწამვლისგან იყოს გამოწვეული.

„თბილწყალკანალის“ ინფორმაციით, მოსახლეობის თხოვნით სანიტარიულმა ინსპექციამ და „თბილწყალკანალის“ ცენტრალურმა ლაბორატორიამ წყლის სინჯები აიღო და ანალიზის შედეგები დღეს გახდება ცნობილი. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, როგორც „თბილწყალკანალში“ აცხადებენ, ადამიანების მოწამვლის მიზეზი წყალი არ არის.

გავრცელებული ინფორმაციით, ნაძალადევის რაიონის მოსახლეობა სასმელი წყლით მოიწამლა. გუშინ იტალიური ტიპის ეზოში რამდენიმე ადამიანი ერთდროულად მოიწამლა. როგორც მოსახლეობა აცხადებს, უკვე ორი კვირაა სასმელ წყალს ყვითელი ფერი დაკრავს და თბილია.

ინტერპრესნიუსი

◉ პანორამა

ინდოეთის დედაქალაქში დაეხეტება დაახლოებით 35 ათასი უპატრონო ძროხა. პირუტყვები თავისუფლად დასეირნობენ გზატკეცილებსა და საავტომობილო



გზებზე, რაც იწვევს საგზაო მოძრაობის შეფერხებებს და ავარიებს. ხელისუფლებამ გამოაცხადა ჯილდო ყოველი ძროხის დაჭერისთვის — 46 ამერიკული დოლარი, რაც ინდოეთში საშუალო-თვიური ხელფასის ტოლია. ქალაქში გაჩაღდა ნამდვილი ნადირობა ძროხებზე, რამაც, კიდევ უფრო დიდი ქაოსი გამოიწვია.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში იშვიათმა ბაქტერიამ უკვე მოკლა ორი ბავშვი. მათ ორგანიზმში შეაღწია Naegleria ამებამ, სავარაუდოდ მა-



შინ, როცა ისინი აუზში ბანაობდნენ. ამ ამებას შეუძლია გამოიწვიოს მომაკვდინებელი დაავადება — მენინგოენცეფალიტი. ორგანიზმში მოხვედრისას ამებები აღწევენ ტვინში და ერთი კვირის განმავლობაში კლავენ ადამიანს.

* * *

ამერიკელ მხატვარს ჰირო იამაგატას დაგეგმილი აქვს, აღადგინოს ბუდის 1600 წლის ქანდაკება, რომელიც თა-



ლიბებმა დაამსხვრიეს. 14 ლაზერის დანადგარი განახორციელებს ქანდაკების 140 ფრაგმენტის გამოსახულების პროეცირებას. როგორც მოელიან, პროექტს საბოლოოდ დაამტკიცებენ მას შემდეგ, როცა დარწმუნდებიან მის ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში.

## ბასაევს თბილისში რა უნდოდა?



რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულმა განცხადებამ, თითქოს ბესლანის ტრაგედიამდე ორიოდე დღით ადრე შამილ ბასაევი თბილისში იმყოფებოდა და ტერაქტიც აქ დაგეგმა. ქართველი საზოგადოება აღაშფოთა ამის შესახებ არაერთი საყვედური ითქვა მაღალი სახელისუფლებო ეშელონებიდან. განსაკუთრებით მწვავედ აღიქვეს ეს ყველაფერი ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ადამიანებმა.

იხ. მე-2 გვ.

## ბოდიში, ელსადგურები გალღვა(?!)

ხანდახან მინისტრსაც უნდა ვაპატიოთ, თორემ, ხომ ხედავთ, ისე წარამარა იცვლებიან, შესაძლოა, კადრი თუ ვერ მოიძებნა, უმინისტროდაც დავრჩეთ. რაც შეეხება ავარიებს, მოულოდნელ გამორთვებს, სიბნელესა და სიცივეში ყოფნას, ამას საერთოდ მიჩვეულები ვართ და კარგი იქნება, თუ აღარ გადაგვაჩვევენ.



იხ. მე-2 გვ.

## ვიდრე რუსეთმა აფხაზეთი მთლად არ მიისაკუთრა...



ენგურს გაღმა შექმნილი განუკითხაობით და გაუსაძლისი პირობებით შეშინებული იქ დარჩენილი მოსახლეობის უმრავლესობა გაიხიზნა და დევნილობაში აღმოჩნდა. გაუკაცრიელდა ქალაქები, დაცარიელდა სოფლები, გაჩანაგდა სოფლის მეურნეობა. აფხაზეთიდან გახიზნული ქართული მოსახლეობის უფროსი თაობის წარმომადგენლები შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზების ძიებაში არიან.

იხ. მე-3 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მილსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთი შევსებულია

„ბრიტიშ პეტროლეუმის“ კომპანიამ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წარუდგინა გასული წლის განმავლობაში „მტკიცე განვითარების ანგარიში“. როგორც აზერბაიჯანში „ბრიტიშ პეტროლეუმის“ პრეზიდენტმა დევიდ ვუდვორდმა თქვა, კომპანია პერიოდულად მართავს შეხვედრებს საზოგადოებრიობასთან და ახორციელებს სოციალურ და ეკოლოგიურ პროექტებს. „კომპანია ცდილობს, თავისი საქმიანობა წარმართოს გამჭვირვალედ, არ დაუმალოს საზოგადოებრიობას მისთვის საინტერესო მონაცემები. ამიტომ, ჩვენ, ერთ-ერთი პირველები შევუერთდით აზერბაიჯანის მთავრობის ინიციატივას გამჭვირვალობის შესახებ“.

უპასუხა რა, ჟურნალისტთა კითხვას იმის თაობაზე, თუ რატომ არ გამოაქვეყნა „ბრიტიშ პეტროლეუმმა“ მონაცემები თავისი მოგების შესახებ, დ. ვუდვორდმა განმარტა: „აქამდე „ბრიტიშ პეტროლეუმი“ აბანდებდა ინვესტიციებს ქვეყანაში, და, ჯერჯერობით არ მიუღია მოგება, თუმცა, კომპანია იღებდა „ნედლ ნავთობს“ მოპოვებული ნავთობის წილობრივი დაყოფის შესახებ კონტრაქტის ფარგლებში“. აზერბაიჯანის საზოგადოებაში დღემდე გავრცელებულია აზრი, თითქოს „ბრიტიშ პეტროლეუმის“ ყველა სოციალური პროექტის დაფინანსება ხდებოდეს მთავრობის „ჯიბიდან“, ანუ ნავთობის გაყიდვის შედეგად ამონაგები სავალუტო შემოსულობათა ხარჯზე, თქვა შემდეგ დ. ვუდვორდმა. „სინამდვილეში, ჩვენი სოციალური პროექტები



შედის მოპოვებული ნავთობის წილობრივი დაყოფის კონტრაქტის მიხედვით გაღებულ ხარჯებში, ამიტომ, ასეთი პროგრამების დაფინანსებას ერთობლივად ახორციელებენ როგორც კომპანია, ისე მთავრობა“.

იხ. მე-5 გვ.

◉ შიშს დიდი თვალები აქვს!

# ჩვენც ხომ არ გვემუქრება ტერაქტები?

**რაკი ბუშის ვიზიტისას ხელყუმბარის ინციდენტი მოხდა, ამ საქმესთან ერთად გორის ტერაქტის გამოძიება ამერიკელების ინტერესების სფეროში მოექცა.** ამ კონკრეტულ სფეროში საბედნიეროდ ამერიკული ინტერესი რუსეთს დაუპირისპირდა, რაც ჩვენთვის ხელსაყრელია. ჩვენ ახლა ვიცით, რომ ხსენებული დივერსიული ჯგუფი მომზადებას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადიოდა – ქართულმა სპეცსამსახურებმა შესაბამისი მასალები რუსული მხარის ოფიციალურ წარმომადგენლებს გადასცეს კიდეც. რამდენიც არ უნდა იუაროს რუსეთმა, ასეთი მამხილებელი დოკუმენტების შემდეგ, საქართველოში მსგავსი ტერაქტის დაგეგმვა, ალბათ, გაუჭირდება. მართალია, ქართულ მხარეს ტერაქტში ოფიციალური რუსეთი არ დაუდანაშაულებია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე დივერსიული ჯგუფების არსებობა მის იმიჯს კარგად რომ არ წაადგება, ეს რუსეთმა ძალიან კარგად იცის.

რუსეთი რუსეთად, მაგრამ ტერაქტები თურმე კონტინენტის ყველა კუთხიდანაა მოსალოდნელი. პარლამენტარ გოჩა ფიფიას აზრით, ერაყსა და ავღანეთში საჯარისო ფორმირებების ყოფნა ჩვენს ქვეყანას ძვირად დაუჯდება. ეს ხარკი სავალალო მდგომარეობაში ჩაგვაგდებს, სხვა ქვეყნის დამოუკიდებლობაში ხელის ფათურის გამო, ჩვენი ქვეყანა ტერორისტების სამიზნე გახდება, – განაცხადა პრესკონფერენციაზე გოჩა ფიფიამ. იგი ერაყიდან ჩვენი საჯარისო ფორმირებების გამოყვანას და ამ საკითხში საზოგადოების აქტიურობას ითხოვს. ამასთან, პარლამენტარი მიიჩნევს, რომ ირან-ამერიკის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საქართველო მალე ბრძოლის პოლიგონად გადაიქცევაო. ამ საკითხზე ჩვენი ქვეყნისთვის ასეთი მძიმე დასკვნების გაკეთება ალბათ, გადაჭარბებულია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მწვავდება, ერთი მხრივ, დასავლური, ხოლო, მეორე მხრივ, რუსულჩინური ინტერესების დაპირისპირება. მათ ალიანსში ირანიც შედის.

საინტერესოა, ადრე თუ გვიან, მოსალოდნელ დასავლურ-აღმოსავლურ კონფლიქტში თურქეთი რა როლს ითამაშებს? პასუხი ერთია: თურქეთი დადგება ან ნეიტრალურ, ან აღმოსავლეთის პოზიციაზე. მოგეხსენებათ, რუსულ-თურქულ ალიანსს დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს მერე თანდათან რუსულ-ისლამურ ალიანსში გადაიზარდა – რუსებმა არაბულ ქვეყნებთან მჭიდრო, სტრატეგიული ურთიერთობა გააბეს. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ დღეს შავ ზღვაზე ამერიკულ-რუსული ინტერესების რადიკალური დაპირისპირება მოხდა, ძალიან საეჭვოა, რომ თურქეთი ამერიკის მხარეს დადგეს. ამდენად, უცხოელი ექსპერტების აზრით, სჯობს ორიენტაცია პატარა, ახალ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებზე (ჩვენ ვიგულისხმებით) გაკეთდეს, რომლებმაც თავი ახლა დაიხსნეს. ამიტომაც არიან ჩვენით ასე დაინტერესებული. ამასთან, საქართველო დასავლეთს და ამერიკას აინტერესებს როგორც ტერიტორია, როგორც კავკასიის გასაღები. ბუნებრივია, ისმება კითხვა, მსოფლიოში არსებული კრიზისული სიტუაციების შედეგად საფრთხე ჩვენს ქვეყანასაც ხომ არ ემუქრება, ანუ მართლა ჩვენც ხომ არ გველოდება ტერაქტები ? იმედი ვიქონიოთ, რომ არა. ყოველ შემთხვევაში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში თვლიან, რომ ეს შიში უსაფუძვლოა და მხოლოდ პანიკის შესაქმნელად არის გამიზნული.

**მზია გელენავა**

◉ გვწერენ

# მადლობა თანადგომისა და მხარდაჭერისთვის

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

**მაქვს პატივი, მოგესალმოთ და გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ ხობის II საერთაშორისო ფესტივალის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისთვის, თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.**

**„ზრუნვა ქართულ ფოლკლორზე არა მარტო კულტურული, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი გარანტი“ – უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ამ სიტყვების ნათელი დასტური იყო ფესტივალის დღეებში ქვეყნის ხელმძღვანელობის, ქართული სიმღერის თაყვანისმცემლების გაერთიანება უნიკალური ქართული ფოლკლორის გადასარჩენად.**

**სწორედ ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრის, ბატონ ანზორ ერქომაიშვილის, სახელმწიფო კონსერვატორიის შემოქმედებითი კოლექტივის და მრავალი პროფესიონალი პატრიოტის უანგარო თანადგომით, დიდი მხარდაჭერითა და დაუღალავი შრომით შესაძლებელი გახდა მოგვემზადებინა და გამოგვეცა უნიკალური მასალა: „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ (3 ტომი), სანოტო კრებულის – „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა“ (2 ტომი), რომელშიც შევიდა 306 სიმღერა და 4 სასწავლო კომპაქტდისკი 24 სიმღერის თანდართული ნოტებით.**

**ფასდაუდებელია ის დადებითი ემოციური მუხტი, რომელიც ფესტივალის დღეებში მიიღო სამეგრელოს მოსახლეობამ, ქვეყნის პირველი პირის, მისი აღმატებულების, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სტუმრობით, მსოფლიოში აღიარებული მუსიკოს-შემსრულებლების და თითოეული თქვენგანის ხელოვნების ამ დაუვიწყარ დღესასწაულში მონაწილეობით.**

**დიდია თქვენი ღვაწლი ფესტივალის მაღალ დონეზე და ობიექტურად გაშუქებისთვის, ამ ღონისძიების საინფორმაციო უზრუნველყოფის საქმეში.**

**დარწმუნებული ვარ, სანამ იარსებებენ თქვენისთანა ადამიანები, ქართული უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა საიმედოდ იქნება დაცული და თაობიდან თაობას გადაეცემა.**

**გაახლებთ რა მადლობის ბარათს, ამ უდიდეს ეროვნულ საქმეში თქვენი აქტიური თანადგომის გათვალისწინებით, იმედს ვიტოვებ, რომ კვლავაც შევხვდებით ერთმანეთს დიდი შემოქმედებითი პროექტებით და ეროვნული საქმეებით, უკვე ტრადიციადქცეულ ხობის III საერთაშორისო ფესტივალზე 2007 წლის ივნისში.**

**ღრმა პატივისცემით,**
**გოდერძი ბუკია,**
**საქართველოს პარლამენტის წევრი, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტი.**

◉ გაუტიეს

# ბოდიში, ელსადენები გალღვა(?!)

**ჩვენში, ბევრი სხვა ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, ენერგოსისტემა ისეთ ავარიებზეა მომართული, რომ თავი ქვასაც რომ ურტყა, სხვა „არხზე“ ველარ გადართავ. ზოგი ამას თავად ენერგოსისტემის გაუმართაობით ხსნის, ზოგი – ენერგომამების უნდილი საქმიანობით, მაგრამ თუ კარგად ჩავუღრმავდებით, მგონი, არც ერთია და არც მეორე. ჩემი პირადი დაკვირვებით, ამდენი ავარიები, წარამარა ჩართვა-გამორთვები, სხვა არაფერია თუ არა, დემოკრატიის კაპრიზი.**

ზოგს კი აუჩემებია – გინდა თუ არა, ენერგოკრიზისიაო. როგორ გეკადრებათ, აბა გაიხსენეთ, კომუნისტური მმართველობის წლებში მომხდარი რომელიმე ენერგოავარია. ვერ გაიხსენებთ, იმიტომ, რომ არ გვქონდა დემოკრატიული მმართველობა. მახსოვს, ხშირად აკრიტიკებდნენ პრეზიდენტ შევარდნაძეს – ხელისუფლებაში დემოკრატია მოიკოჭლებსო. არ იყვნენ მართალნი – მაშინ დემოკრატია თავის სიმაღლეზე რომ არ ყოფილიყო, იმდენი ენერგოავარიები კი არ მოხდებოდა!



ახლაც მაგიტომ ხდება, რომ ქვეყანაში დემოკრატია შეუფერხებლად ვითარდება. ეს არ იცის ჩვენმა საზოგადოებამ, ზოგჯერ თვით ენერგობაზრის ხელმძღვანელობამაც კი, რაც ენერგეტიკის მინისტრის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. უვიცები არიან, თქვა მათი მისამართით მინისტრმა ნიკა გილაურმა, რალაც საათი-საათნახევრით დენი რომ გამოირთვება, მაგათ ენერგოდეფიციტი ჰგონიათო. რა დეფიციტი, რის დეფიციტი, დენი ისეთი რამეა, ხან გამოირთვება, ხან ჩაირთვება, აბა როგორ გინდათო.

აი, ახლა, მაგალითად, ენგურის დაზიანებული აგრეგატი აღდგა, მაგრამ დენი ხანდახან მაინც ირთვება, ეს პროცესი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება და არავის არ უნდა გაუკვირდესო – არც მოსახლეობას, არც მეწარმეს და არც ჟურნალისტებს, რომლებიც ხშირად არაფრის გამო ერთ აჟიოტაჟს ატეხენ ხოლმეო. თქვე კაი ხალხო, ამერიკა რომ ამერიკაა, ხანდახან იქაც ირთვება დენი ტორნადოების შემოტევისას და აქ რა გიკვირთო.

ერთადერთი შემთხვევა მოხდა ამას წინათ, სიცხისგან ელექტროსადენები გალღვა და მთელ ქვეყანაში უკუნი სიბნელე ჩამოწვა – რაც პირადად მინისტრსაც გაუკვირდა. ეს იყო და ეს, სხვა მეტი არაფერი გაჰკვირვებია ამ ქვეყანაზე. თანაც მაშინაც ბოდიში მოიხადა – რა ვქნათ, აბა, სიცხეს ხელს ხომ არ მივაფარებთ, სადენები გაალღო და უნდა გვაპატიოთო.

ასეა, ხანდახან მინისტრსაც უნდა ვაპატიოთ, თორემ, ხომ ხედავთ, ისე წარამარა იცვლებიან, შესაძლოა, კადრი თუ ვერ მოიძებნა, უმინისტროდაც დავრჩეთ. რაც შეეხება ავარიებს, მოულოდნელ გამორთვებს, სიბნელესა და სიცივეში ყოფნას, ამას საერთოდ მიჩვეულები ვართ და კარგი იქნება თუ აღარ გადაგვაჩვევენ.

მით უფრო ამ პერიოდში, როცა ენგურჰესში, თბილსრესში, კიდევ სხვა უამრავ ენერგოობიექტში მორიგი დაუმთავრებელი რემონტები დაიწყო.

რადგან ამდენი თანხა იხარჯება, იქნებ თავად სამინისტროც გაერემონტებინათ?!

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ინფორმაცია

## ვითომ პოლიტიკური ტერორია?

**თბილისის საქალაქო სასამართლომ „საქსტანდარტის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს მიხეილ ჯანიკაშვილს და მის პირველ მოადგილეს შოთა კოხრეიძეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. დაპატიმრების შესახებ ბრძანების გამოცხადებას სასამართლო დარბაზში მყოფთა ხმამაღალი პროტესტი მოჰყვა. ჯანიკაშვილისა და კოხრეიძის მხარდამჭერებმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას „პოლიტიკური ტერორის“ შეფასება მისცეს.**

**როგორც ინტერპრესნიუსს პროკურორმა გელა მამალაძემ განუცხადა, საქართველოს მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ეროვნული სააგენტოს „საქსტანდარტის“ გენერალურ დირექტორს მიხეილ ჯანიკაშვილსა და მის პირველ მოადგილეს შოთა კოხრეიძეს ბრალი ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებაში (332-ე მუხლის III ნაწილი).**

**ბრალდების ინფორმაციით, „საქსტანდარტში“ შექმნილი იყო აკრედიტაციის დეპარტამენტი, რომელიც არაკომერციულ და არამომგებიან სააქციო საზოგადოებებზე აკრედიტაციებს გასცემდა.**

**პროკურორის განმარტებით, ნაცვლად იმისა, რომ „საქსტანდარტს“ აკრედიტაციები არაკომერციულ საზოგადოებებზე გაეცა, იგი მას წლების განმავლობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზეც გასცემდა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტმა საერთო ჯამში 5 331 448 ლარი იზარალა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ კომენტარი

# ბასაევს თბილისში რა უნდოდა?

**რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულმა განცხადებამ, თითქოს ბესლანის ტრაგედიამდე ორიოდე დღით ადრე შამილ ბასაევი თბილისში იმყოფებოდა და ტერაქტიც აქ დაგეგმა, ქართველი საზოგადოება აღაშფოთა. ამის შესახებ არაერთი საყვედური ითქვა მაღალი სახელისუფლებო ეშელონებიდან. განსაკუთრებით მწვავედ აღიქვეს ეს ყველაფერი ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ადამიანებმა.**

**ამის თაობაზე აზრი გამოთქვა დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურამ ვახტანგაშვილმა.**



– ეს სუფთა გამოგონილი ამბავია. თბილისში ბასაევს რა უნდოდა? ან როგორ ჩამოვიდოდა? ბასაევი ხომ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა და მათი გმირია (ახლახან შამბამ მადლობაც გადაუხადა მას)? რამდენი ბავშვის ცოდვა აწევთ კისერზე აფხაზების ტრაგედიის მოთავეთ და ქართველის ხელი როგორ გაერეოდა ბესლანელი ბავშვების ტრაგედიაში!... ესეც რომ არა, მტკნარი სიცრუე და თეთრი ძაფით ნაკერი შანტაჟია ეგ განცხადება, ანუ პასუხია იმისა, რომ გორში მომხდარი ტერაქტი გაიხსნა და უნდათ ახლა ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანონ...

**– ამჟამად თქვენ სად იმყოფებით?**

– ახლა ერედვში ვარ. ბერუაშვილების ოჯახში. მოსახლეობა მოსავალს იღებს და ვაბინავებთ.

**– როგორი მდგომარეობაა ხეობაში?**

– აქეთ, პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში შედარებით სიმშვიდეა.

ხალხი შრომობს. არავის არ უნდა ომი და დაძაბულობა, რაც შეეხება დიდი ლიახვის ხეობის სოფლებს, იქ შედარებით დაძაბული მდგომარეობაა. იმ დღესაც ვიყავი და მოსახლეობა გატაცებული ხაჭაპურიძეებისა და ლომიძის ამბავს კითხულობს. როგორც იცით, ისინი მესამე თვეა გაუჩინარებულნი არიან... მძიმე დღეში იმყოფებიან მათი მშობლები და ოჯახის წევრები, ახლობლები...

**– მგზავრობა ადრე ჩაკეტილი იყო და ხალხი ტყეზე გამავალი შემოვლითი გზით დადიოდა. გზები თუა გახსნილი?**

– ხეობის მცხოვრებლები ქალაქ ცხინვალზე ავტობუსით გადიან და გამოდიან. მათ მშვიდობისმყოფელები აცილებენ. თბილისიდან და გორიდან ავტობუსები გრაფიკით მოძრაობენ. გარდა ამისა, სოფლების: თამარაშენის, აჩაბეთის, ქურთის და კეხვის მოსახლეობა ერედვიდან ტყეზე გამავალი შემოვლითი გზითაც სარგებლობს...

**ესაუბრა**
**ლია ჭიღლაძე**

◉ ფასები

# ქართული თამბაქოს ნაწარმი გაიაფდა

## ქორვაჭრები კი აქვირებენ

**„ღარიბი კაცის ულუფა“ – ასე მოსწრებული განმარტება მოუძებნა კონტრაბანდას ჟურნალისტმა ოთარ ხუციშვილმა („სრ“, 6 აგვისტო). დარწმუნებული ვარ, ამ „აღმოჩენას“ საქართველოში ბევრი ადამიანი უკრიტიკოდ მიიღებს, რადგან მისი „სანდოობა“ საკუთარ თავზე გამოსცადა. სხვათა შორის, ავტორი გვარწმუნებს, რომ მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან ანტიკონტრაბანდულ ღონისძიებათა გამკაცრებისა, საერთო სურათი არ იცვლება – მარჯვნივ თუ მარცხნივ უაქციზო სიგარეტი მაინც იყიდება.**

ანტიკონტრაბანდულ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოება“ და ეს სავსებით გასაგებიც არის – უაქციზო სიგარეტით ვაჭრობამ მისი ინტერესები ფრიად შებღალა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ღონისძიებებისთვის მხარი რომ დაეჭირა, სამამულო სიგარეტის უმსხვილესმა მწარმოებელმა თავისი პროდუქცია საკუთარი ზარალის ხარჯზე საგრძნობლად გააიაფა: ამა წლის პირველი აგვისტოდან საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელს ახალი ფასები შესთავაზა. ამიერიდან „პირველი“ სრული არომატით 0,86 ლარი ღირს, რბილი – 0,86 ლარი,. „ინტერნაციონალი“ სრული არომატით – 0,86 ლარი, „ვაისროი“ სრული არომატით – 1,08 ლარი, „ვაისროი“ ულტრა – 1,2 ლარი.




როგორც ჩვენთან საუბარში „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ პრესსამსახურის უფროსმა **რუსუდან ლაგვილავამ** აღნიშნა, ამ ეტაპზე მიზანი მხოლოდ სანახევროდ არის მიღწეული. მიზეზად ის დაასახელა, რომ საცალო ვაჭრობის ქსელში ზემოაღნიშნულ ასორტიმენტზე ფასების დაწევის მიუხედავად, საცალო ვაჭრობის ქსელის წარმომადგენლები ამის ადეკვატურად არ მოიქცნენ. მათ უხეშად დაარღვიეს მომხმარებელთა უფლებები და ზემოგების მიღების სურვილით მხოლოდ ნაწილობრივ, ან საერთოდ არ აიაფებენ პროდუქციას.

– „საქართველოს თამბაქოს წარმოების ხელმძღვანელთა გათვლებით, ასორტიმენტის გაიაფების შემდეგ საცალო სავაჭრო ქსელში უნდა მოქმედებდეს შემდეგი ფასები: „პირველი“ სრული არომატით – ერთი ლარი, „პირველი“ რბილი – ერთი ლარი, „პირველი“ ინტერნაციონალი სრული არომატით – ერთი ლარი, „ვაისროი“ სრული არომატით – ერთი ლარი და ოცი თეთრი, „ვაისროი“ ულტრა – ერთი ლარი და ოცი თეთრი. სავაჭრო ობიექტებში გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით შესაბამისი სასაქონლო ზედდებულებითა და ანგარიშფაქტურებით მუშაობისას, – თქვა რუსუდან ლაგვილავამ.

გუშინ „საქართველოს თამბაქოს წარმოებამ“ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია მოაწყო. მისმა ხელმძღვანელებმა, მიუხედავად შესამჩნევი ფინანსური ზარალისა, რაც ზემოხსენებულ დარღვევებს მოჰყვა, მაინც თავი შეიკავეს და საცალო ვაჭრობაში მოკალათებული „ქორების“ ვინაობა არ დაუსახელებიათ. „კიდევ ერთხელ გთხოვთ, დაგვეხმარეთ, რომ სიგარეტით ვაჭრობაში წესრიგი დამყარდეს და ჩვენი უფლებები აღარ შეიბღალოს“, – ნამუსზე „შეაგდეს“ მათ აკრძალული ილეთების მოყვარულნი.

მე პირადად, არა მგონია, ამ შეგონებამ ქორვაჭრებზე გავლენა მოახდინოს. ისევდაისევ, კანონმა უნდა თქვას თავისი სიტყვა, მაგრამ ის კანონიც ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ სამამულო მრეწველობა არ დავაზარალოთ. სიტყვას გაძლევთ, რომ ქართველი მომხმარებელი სამამულო „პირველს“ უფრო სიამოვნებით შეიძენს, ვიდრე „ალიანსს“, „იავას“ და სხვა კონტრაბანდულ სიგარეტს, მით უმეტეს, თუ ერთიდაიგივე ფასის გადახდა მოუწევს.

იმათ კი, ვინც კანონს არაფრად აგდებს, შევახსენებთ, რომ 200 ლარამდე საერთო ღირებულების სიგარეტის რეალიზატორი პირველად 500 ლარით დაჯარიმდება, განმეორების შემთხვევაში – 10 ათასი ლარით. გათვალისწინებულია აგრეთვე პატიმრობა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა კონფისკაცია.

ვინ რომელს აირჩევს?

**გუჯა რთველაძე**

◉ ინფორმაცია

## საკვებ პროდუქტებს მოსახლეობისგან შეიძენენ

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შეიარაღებული ძალებისთვის კვების პროდუქტებს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისგან შეიძენს.**

**სიტუაციის შესწავლის მიზნით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთი კვირის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის სამუშაო ჯგუფი იმუშავებს, რომელიც პროდუქტებით მომარაგების მხრივ რეგიონის რესურსებს დაადგენს, ასევე ფასებს და მიწოდების ინტენსივობას გაარკვევს.**

**როგორც ინტერპრესნიუსს თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, შესყიდვების დეპარტამენტი რეგიონის მოსახლეობისგან ძირითადად ხორცის, ყველის, კარტოფილის და სხვა სახის ბოსტნეულის შეძენას გეგმავს.**

**მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ახალქალაქისა და ნინოწმინდის გამგეობებში სპეციალური საინფორმაციო პუნქტები გაიხსნება, სადაც თავდაცვის უწყება მოსახლეობისგან ფასების, რაოდენობის და მიწოდების ინტენსივობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიიღებს.**

**საინფორმაციო პუნქტები დღეს ოფიციალურად გაიხსნება. პროდუქტების შეძენასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირება სპეციალური პიარ-აქციებითაც იგეგმება, რომელშიც მონაწილეობას პირადად თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა მიიღებენ.**

## „საქნავთობის“ თანამშრომლები დააჯილდოვეს

**„საქნავთობის“ 22 თანამშრომელი 500-ლარიანი ფულადი პრემიით და ფერადი ტელევიზორებით დაჯილდოვდა. საზეიმო ცერემონია სოფელ გამარჯვების მიმდებარე ტერიტორიაზე, თელეთის ნავთობის საბადოს № 60 ჭაბურღილზე გაიმართა.**

**შრომით საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის თანამშრომლებს ჯილდო ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ გენერალურმა დირექტორმა ივანე ნაკაიძემ გადასცა.**

**ნაკაიძის განცხადებით, „საქნავთობის“ ახალი მენეჯმენტისა და მისი თანამშრომლების ძალისხმევით, 36 ათას ლარად, ერთ თვეში გახდა შესაძლებელი თელეთის №60 ლიკვიდირებული და უპერსპექტივო ჭაბურღილის ამოქმედება, რომელიც ნავთობის სტაბილური მოპოვების შემთხვევაში, წელიწადში დამატებით 3,5 მილიონი ლარით უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს.**

**თელეთის № 60 ჭაბურღილიდან დღე-ღამეში დაახლოებით 13 ტონა ნავთობი ამოდის. ნაკაიძის განცხადებით, თელეთის საბადოზე კიდევ 5-მდე ლიკვიდირებული ჭაბურღილია, რომლებზეც სარემონტო სამუშაოები წლის ბოლომდე დაიწყება.**

## მაშველთა ჯგუფი გაფრინდა

**უამინდობით გამოწვეული რამდენიმედღიანი ლოდინის შემდეგ, კანადელი მთამსვლელის პიტერ ევერეტის ცხედრის მოსაძებნად მწვერვალ შხარაზე ვერტმფრენით მაშველთა ჯგუფი გაფრინდა.**

**რამდენიმე დღის წინათ, სვანეთში დასასვენებლად ჩასულმა ორმა კანადელმა ტურისტმა შხარას დალაშქვრა თვითნებურად მოინდომა. თუმცა, ჩამოწოლილმა ზვავმა ორივე ჩაითრია. ერთ-ერთი ტურისტი – მიშელ გორსი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა, რადგან ზვავმა იგი უსაფრთხო ადგილას გადააგდო.**

**როგორც მაშველები აცხადებდნენ, პიტერ ევერეტის ცხედარი იქ, სადაც წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე ეძებდნენ, ვეღარ ნახეს. მათივე თქმით, ზვავის ჩამოწოლის საშიშროება კვლავ არსებობს, რამაც, შესაძლოა, სამაშველო ოპერაციებს ხელი შეუშალოს.**

## ადმინისტრირების ახალი სკოლა ამოქმედდება

**ახალი სასწავლო წლიდან საქართველოში სახელმწიფო ადმინისტრირების ახალი სკოლა ამოქმედდება. სკოლა, რომელიც თავად იდეის ავტორის, საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის ზურაბ ჟვანიას სახელს ატარებს, ქალაქ ქუთაისშია განთავსებული.**

**სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა მაღალმთიანი და ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისა და კონფლიქტური ზონების წარმომადგენლობის სხვადასხვა დონის მმართველობისა და თვითმმართველობის მოხელის რანგში მომზადება-გადამზადებას ითვალისწინებს.**

**როგორც განათლების სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე ითქვა, მსმენელები ორი პროგრამისათვის შეირჩევიან. ეს არის ქართული ენის ინტენსიური სწავლების პროგრამა და სახელმწიფო მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა. თითოეული სასწავლო კურსის ხანგრძლივობა სამ თვეს შეადგენს. პირველ ნაკადს სკოლა 2005-2006 სასწავლო წლისათვის სექტემბრიდან მიიღებს და ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია მხოლოდ 75 სახელმწიფო მოხელის მომზადება, ხოლო 1 იანვრიდან მსმენელთა ოდენობაც 300-მდე გაიზრდება.**

**მსმენელებს დაენიშნებათ ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარის ოდენობით.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ პროკურატურა

# ძლიერი დარტყმა მტკივნეულ მაჯაზე

**დღეს აღარავის უკვირს ნებისმიერი მაღალი რანგის ჩინოვნიკის, მათ შორის მინისტრის დაპატიმრებაც კი. ნათქვამია, ყველაფერმა შეჩვევა იცისო და ჩვენც, როგორც ჩანს, მივეჩვიეთ აუტანელ, გაუსაძლის ციხეებში ხალხის გამოკეტვას...**

გუშინ გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას აუწყა, რომ დაკავებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე გოგი ბოჭორიშვილი. მას ბრალად ედება „აკადემქალაქში“ მიწის ნაკვეთის ჩალის ფასად „გასხვისება“. კერძოდ, 2001 წელს გოგი ბოჭორიშვილმა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი ხელშეკრულებით, იჯარით გადასცა სამშენებლო კომპანია „ამხანაგობას“, რომელსაც ერთ კვადრატულ მეტრში, თანაც წელიწადში, გადასახდელად განუსაზღვრია სასაცილო ფასი – 0,24 თეთრი. არადა, ეს ისეთი ადგილია, და ამ ადგილზე ისეთი სახლებიც წამოიჭიმა, რომ კაცს პირზე ნერწყვი მოადგება.

როგორც ბატონმა გიორგი ჯანაშიამ განაცხადა, – უპირველესად, გოგი ბოჭორიშვილს არა ჰქონდა მიწის ნაკვეთის გასხვისების უფლება. ეს წარმოადგენდა ქონების მართვის სააგენტოს პრეროგატივას. და მეორეც, – სპორტის სასახლესთან რეალური ფასი ერთი კვადრატული მეტრი მიწისა შეადგენს 300 ლარს (ზოგის თქმით, – 300 დოლარს). ამ მიზეზით სახელმწიფომ მილიონობით ლარი დაკარგა.

გოგი ბოჭორიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 332-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულს ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე. მეცნიერ კაცს, როგორც იტყვიან, ეს ჭირადაც ეყოფა და ლხინადაც. სხვა რომელიმე პიროვნების ბრალეულობაზე პროკურატურა ჯერჯერობით არ საუბრობს.



ახლა მეცნიერებათა აკადემიას ცხელი დღეები უდგას. ლაპარაკია თითქმის მისი გაუქმების მცდელობაზე. ამის თავიდან ასაცილებლად აკადემიის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს, უცხოეთსაც კი უხმობს. ასეთ დროს გოგი ბოჭორიშვილის დაკავება უთუოდ ძლიერი დარტყმაა მტკივნეულ მაჯაზე!

საღამოს უზენაესმა სასამართლომ გოგი ბოჭორიშვილს გირაოდ 20 ათასი ლარი შეუფარდა და გაათავისუფლა.

**ბონდო გულიაშვილი**

## სად და რამდენს გამოიმუშავებენ

(საშუალო თვიური ხელფასი დოლარებით)

| | |
|---|---|
| გერმანია | – 3538, 8 |
| უნგრეთი | – 771,4 |
| პოლონეთი | – 729,7 |
| ჩეხეთი | – 710,9 |
| ესტონეთი | – 575,4 |
| ლიტვა | – 445,5 |
| რუსეთი | – 303 |
| ბელორუსია | – 221,5 |
| ბულგარეთი | – 190,1 |
| უკრაინა | – 164,7 |



ექსტერიერი

# ფერებთან ხუმრობა არ შეიძლება

**ამ ბოლო დროს თბილისში მრავალი სასიკეთო საქმე კეთდება: გასუფთავდა და შეიღება შენობები, რომლებიც დროთა განმავლობაში ძალიან დაზიანდა. სამწუხაროდ, ფერები სათანადო სიფრთხილით არ შეირჩა, თუმცა, რაც ხორციელდება, მაინც მისასალმებელი და საჭიროა.**



როგორც ამბობენ, ანალოგიური სამუშაოები საქართველოს ქალაქებსა და რაიონებშიც განხორციელდება, ამიტომ შემდგომში თბილისშიც და რაიონებშიც შეცდომებისგან დაზღვეული რომ ვიყოთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

საღებავების მოხმარებას და მათი ფერების შერჩევას სათანადო პროფესიული ცოდნა და მხატვრული ინტუიცია ესაჭიროება. ჰაიჰარად, ნაუცბათევად ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საზიანოა. პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ, სად მდებარეობს შესაღები შენობა, რადგან ადგილმდებარეობას და იქაურ კლიმატურ პირობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ჩრდილოეთის ქვეყნებში ფერების აღქმა საღებავის ინტენსივობის გამო სხვანაირია და სამხრეთის ქვეყნებში სხვანაირი.

ფერები ნაგებობათა დანიშნულების მიხედვითაც უნდა შეირჩეს, მაგალითად: ადმინისტრაციული შენობები შედარებით სადად და ზომიერ ტონალობაში უნდა შეიღებოს, ხოლო საზეიმო საესტრადო-თეატრალური შენობები — მრავალფეროვნად. სამრეწველო და სამეურნეო დანიშნულების შენობებს, სადაც შედარებით მეტი მტვერი და ჭუჭყია, ნაცრისფერი მოუხდება.



ჩრდილოეთის ქვეყნებში უფრო ნისლიანი ამინდებია, ჰაერი მონაცისფრო და ბლანტია, რის შედეგადაც ფერის ინტენსიურობა მცირდება, სწორედ ამიტომ იქ უფრო მკვეთრ, ჭრელ ფერებს ანიჭებენ უპირატესობას. ასეა სკანდინავიის ქვეყნებში, ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, სანკტ-პეტერბურგში, კანადასა და სხვაგან.

საქართველოში კლიმატური პირობების გამო გამჭირვალე ჰაერი და მეტი სინათლეა, ამიტომ უფრო მქრქალი ფერები უნდა გამოვიყენოთ — მეტისმეტად ინტენსიური სიძლიერის ფერი მხედველობაზე ცუდად მოქმედებს და უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. განსაკუთრებით არასასიამოვნოა წითელი, ლურჯი, ყვითელი, მწვანე. ისინი უნდა შევაზავოთ და ნახევრად რბილ ტონებში გადავიყვანოთ.

როგორც წესი, ქვით ან კერამიკული ფილებით მოპირკეთებული შენობა-ნაგებობები არ იღებება, მათ ასუფთავებენ, შეკუმშული ჰაერის, ფხვნილების მეშვეობით რეცხავენ ან ლითონის იარაღების ე. წ. „ბუჩარკით" ამუშავებენ.

ისიც გასათვალისწინებელია, თუ სად მდებარეობს შენობა-ნაგებობა — მოედანზე თუ ქუჩაში, რომელ მხარესაა მისი ფასადი მოქცეული, თუ ჩრდილოეთის მხარეა, მას თბილ ტონებში ღებავენ, დანარჩენ მხარეს — უფრო ცივ ტონებში.

ფასადის შეღებვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ზედაპირის რელიეფური პლასტიკის, არქიტექტურის ფორმების გადაწყვეტას. თუ შენობაზე კონსტრუქციული ელემენტების ფორმებია, კედელთან შედარებით უფრო ბაცად ან მუქად ღებავენ. ასევე ხდება სხვადასხვა არქიტექტურული ფორმების და დეტალების — კარნიზების, კარფანჯრების საპირეების, ფრონტონების, აივნების, ერკერების და სხვათა შეღებვა, რაც ფასადის იერსახეს უფრო მოხდენილს ხდის. ფერების შეხამება, მათი ტონალობის გასაზღვრა უნდა მოხდეს ფაქიზად და ფრთხილად. თუ შენობის ფასადის ზედაპირი სადაა და არ შეიცავს ზემოთ აღნიშნულ ელემენტებს, მაშინ მას ერთ ფერში ღებავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საღებავი გარე სივრცისთვის სხვა შემადგენლობისაა, ვიდრე შიგნით, ინტერიერისათვის: უნდა გაუძლოს ატმოსფერული ნალექების, მზის სხივების ზემოქმედებას, რაც მისი ექსპლუატაციის ვადებს გაახანგრძლივებს.

**კიაზო ნახუცრიშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი.**

კონფლიქტის ზონა

# ვიდრე რუსეთმა აფხაზეთი მთლად არ მიისაკუთრა...

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში არსებული კრიზისული მდგომარეობა საყოველთაოდ ცნობილია. მასზე ბევრი რამ დაიწერა და ითქვა. ისიც ცნობილია, რომ გაეროსა და დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა სამიტების უამრავი რეზოლუცია, გადაწყვეტილება არ შესრულდა. დევნილთა შინ დაბრუნების თაობაზე მოსკოვის 1994 წლის 4 აპრილის ოთხმრივი შეთანხმება ფარატინა ქაღალდად იქცა. არასამთავრობო ორგანიზაციების სახალხო დიპლომატიაც ჩაფლავდა. შინ დაბრუნების შესახებ წინა ხელისუფლების არაერთი დაპირებით მოტყუებული, შეურაცხყოფილი, მრავალი წლის განმავლობაში იმედგაცრუებული დევნილი მოსახლეობა დაბეჩავდა და მომავალზე ხელი ჩაიქნია. ხალხში უნდობლობამ დაისადგურა.**

ამ ხნის მანძილზე ენგურს გაღმა შექმნილი განუკითხაობით და გაუსაძლისი პირობებით შეშინებული იქ დარჩენილი მოსახლეობის უმრავლეობა გაიხიზნა და დევნილობაში აღმოჩნდა. გაუკაცრიელდა ქალაქები, დაცარიელდა სოფლები, გაჩანაგდა სოფლის მეურნეობა. აფხაზეთიდან გახიზნული ქართული მოსახლეობის უფროსი თაობის წარმომადგენლები შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზების ძიებაში არიან. მათი მიზანია, სახელმწიფოს ოფიციალურ სტრუქტურებთან თანადგომით და აქტიური ხელშეწყობით მიაღწიონ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხისადმი მიდგომაში ტრანსფორმაციას, სამშვიდობო პროცესში სამოქალაქო კომპონენტების ამოქმედებას, რამეთუ „ვერც პრეზიდენტი, ვერც პარლამენტის თავმჯდომარე და ვერც მთავრობის თავმჯდომარე, ხალხის გააქტიურების გარეშე არსებულ პრობლემას ვერ გადაწყვეტენ" (საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებიდან).

ასეთი სამშვიდობო განცხადებების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით ჩვენ თხოვნით მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ხელი შეუწყოს შემდეგ ღონისძიებების განხორციელებას:

შეიარაღებული დაპირისპირების დამთავრებიდან მეცამეტე წელსაც ენგურის ხიდთან, ადმინისტრაციულ საზღვარზე განლაგებული რკინაბეტონის ბლოკებით ხელოვნურად შექმნილი უნდობლობის კედელი უნდა დაინგრეს ისევე, როგორც ეს მოხდა ჩოლოქის ხიდთან და კონფლიქტის ზონა გამოცხადდეს სამშვიდობო ზონად. ეს დაგვეხმარება სადღეისოდ არსებული ხალხთა უნდობლობის პრობლემის იოლად მოგვარებაში. ვიცი თუ როგორი გაღიზიანება მოჰყვება ამ ღონისძიებას რუსეთის „სამშვიდობო" და სხვა ძალების მხრიდან, მაგრამ ცხადზე უცხადესია — **კონფლიქტის ზონა უნდა გადაიქცეს სამშვიდობო ზონად;**



საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე მიზანშეწონილად მიმაჩნია, ამოქმედდეს საავტომობილო მაგისტრალი, განახლდეს სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო მოძრაობა მარშრუტით: გაგრა-სოხუმი-ქუთაისი-თბილისი-ერევანი. ეს პროექტი დიდი ეკონომიკური ეფექტის მომტანია. იგი არ მოითხოვს სერიოზულ კაპიტალდაბანდებებს. სხვა დადებით მხარეებთან ერთად პროექტი ხელს შეუწყობს ქართველებსა და აფხაზებს შორის გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენას;

ქართველებსა და აფხაზებს შორის დარღვეული ნდობა ვერანაირად ვერ აღდგება რომელიმე კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მათი პირადი კონტაქტებისა და დაგროვილი პრობლემების ერთობლივი განხილვის გარეშე. მისასალმებელია გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის ა. წ. 2 მაისის განცხადება თბილისსა და სოხუმს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის განახლებისა და გრძელვადიანი კოორდინირებული მხარდაჭერის შესახებ. თუკი ეს განცხადება მორიგი პროპაგანდისტული დაპირება არ არის, მაშინ მართებულია, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენისა და დაახლოებისათვის ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით და საერთაშორისო თანამეგობრობის მეშვეობით მოხდეს გრძელვადიანი კოორდინირებული მხარდაჭერა. ამისათვის აუცილებელია:

საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების თაობაზე 1994 წლის 4 აპრილის ოთხმრივი შეთანხმების მე-4 პუნქტის და რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პრეზიდენტების სოჭის 2003 წლის 7 მარტის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი დღემდე უმოქმედო ოთხმხრივი კომისია და მესამე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განახლდეს აფხაზეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა შემადგენლობით; ამ ჯგუფის ამოქმედებისათვის გაფართოვდეს ჭუბურხინჯის სამთავრობო ოთხმხრივი შეხვედრების ფორმატი; შეიქმნას სათანადო პირობები, რათა ამ ჯგუფმა შეძლოს რეგულარული მიზნობრივი შეხვედრების მოწყობა დევნილობაში მყოფ და დღეს აფხაზეთში მცხოვრებ თანასოფლელთა, თანამოგვარეთა, ნათესავთა წარმომადგენლებთან, უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებთან.

ამ ღონისძიებების განხორციელებაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც სჭირდება ოფიციალური სტრუქტურების როგორც მატერიალური და ფინანსური, ასევე სახელმწიფოს პოლიტიკური მხარდაჭერა. ვიღონოთ ყველაფერი, ვიდრე რუსეთმა აფხაზეთი მთლად არ მიისაკუთრა...

**ალექსანდრე მიქაძე,**
**საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი.**

ერიჯაა!

# იძინეთ მშვიდად, ჩვენ არა გვიშავს რა...

**მარტოოდენ საქართველოს კი არა, თითქმის ყველა ქვეყნის პარლამენტში ასე ხდება: — საზაფხულო არდადეგების წინ, სულ რაღაც ერთ კვირაში, სტახანოვური ტემპით მიიღებენ „შემორჩენილ" 80-90 კანონს და... ჰაიდა, ზღვისკენ თუ მთისკენ, შინაურისკენ თუ გარეულისკენ (რა ვიცი, იაპონიის პარლამენტი არსად წასულა, იქ ახლაც ბათქაბუთქია).**





სულ ის მიკვირდა, რატომ აგროვებენ ხოლმე ამდენ კანონს „კუდისთვის", თუნდაც მხოლოდ მესამე მოსმენით მისაღებად? ვამართლებდი, — ხან გვარიანად კამათობენ, ხან დაშხოშიანად ჩხუბობენ, ამას ხომ დრო მიაქვს-მეთქი. ახლა სხვა მიზეზიც ვიპოვე, თანაც ისეთი, ვერაფერს იტყვი...

ნახეთ, თურმე რა ხდება რუსეთის სათათბიროში (სურათი №1). წყვილ-წყვილად სძინავთ; წყვილ-წყვილად ძილი სცოდნიათ სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრებაზეც (სურათი №2). საქართველოს პარლამენტში ამ მხრივ გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, — თუ ერთი იძინებს, მეორე ფხიზლობს (სურათი №3). სხვებთან შედარებით ჩვენებს მადლობაც კი ეთქმით!

ამ ბოლო ხანს ჩვენი პარლამენტიდან გოგა ხაჩიძე წავიდა სამცხეთ-ჯავახეთის გუბერნატორად, ვასიკო მაღლაფერიძე — მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად, აკაკი ბობოხიძე — იმერეთის გუბერნატორად, სალომე სამადაშვილი — უცხოეთში ელჩად... ახლა ექაჩებიან მარიკა ვერულაშვილს — საზოგადოებრივი ტელევიზიის დირექტორად, გივი თარგამაძეს — შსს მინისტრად, გიორგი არველაძეს — პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატის უფროსად...





სად მიდიხართ, ბატონებო, ვინ მოგცემთ იქ ან კამათის, ან ჩხუბის, მითუმეტეს, ძილის ნებას? სულ ქოჩორზე გატრიალებენ 24 საათი. ერთ მშვენიერ დღეს კი ტაშით დაგატოვებინებენ პოსტს იმერეთის გუბერნატორ გია გეწაძესავით, რომელმაც მაჟორიტარობას ჩინოვნიკობა ამჯობინა!

როგორც იტყვიან ხოლმე, — ხალხის რჩეულებო, დარჩით ჩვენთან ერთად. აქ ცემა-ტყეპის პარალელურად, ძილიც შეიძლება, მამაპაპური ძილიც ყოველგვარი სიტყვიერი საყვედურისა და ფულადი სანქციის გარეშე... არაფერი გელით არც ხელისუფლებისგან და არც ელექტორატისგან. მაშ!

**ბადრი იაშვილი.**

გვეხმაურებიან

# მე ლენგი მაინც მეგობრად მიმაჩნია

**თქვენი გაზეთის 5 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია ანზორ თოთაძის წერილი — „მეგობარი კი იყო, ოღონდ ხან მრუდე სარკეში გვახედებდა". ა. თოთაძე ცნობილია როგორც პიროვნება, რომელიც ხმალამოღებული დგას ქართული კულტურის სადარაჯოზე. არ შევეხები მაშტოცის საკითხს, აქ მე არა ვარ კომპეტენტური და არაფრის თქმა არ შემიძლია. როგორიც რიგით მკითხველს, მაქვს ზოგიერთი შეხედულება ინგლისელი მეცნიერის დევიდ ლანგის შესახებ. წაკითხული მაქვს ლენგის ორი წიგნი — „საქართველოს მონარქიის უკანასკნელი წლები" და „საქართველოს თანამედროვე ისტორია".**



ორივე წიგნი ინგლისურ ენაზეა და მათი თარგმანი არც ქართულად, არც რუსულად, რამდენადაც ვიცი, დღევანდლამდე არ არსებობს. ამ წიგნებში დევიდ ლენგს ცაში აჰყავს ქართველები. ის წერს, რომ ქართველები არიან კავკასიაში ყველაზე უფრო კულტურული, განათლებული და ნიჭიერი ხალხი, განთქმულნი თავიანთი კეთილშობილებით. წიგნებმა თავისი შინაარსით დიდი შთაბეჭდილება მოახდინაა ჩემზე. შეუძლებელია კაცმა აუღელვებლად წაიკითხო ორი პატარა ქართველი ტყვის ამბავი. ქ. ტრაპიზონის ფრანგი კონსული წერს, რომ ის სტუმრად იყო იქაურ მდიდარ ვაჭართან, რომელსაც ჰყავდა ეს ტყვეები. წერს, როგორ ეფერებოდა სულ პატარა ქართველი გოგონა კონსულს, რათა მას გამოესყიდა ტყვე. ვაჭარმა რაკი შემატყო რომ ტყვეები მინდა გამოვისყიდოო, ისეთი ფასი დაადო, მე ასეთი თანხის გადახდა არ შემეძლოო. 12 წლის ბიჭი კი ამაყად იდგა და არაფერს არ მთხოვდაო. ამის შემდეგ შემიყვარდა ლენგი. სულ ცოტა ხანში, ლენგის აღნიშნული წიგნების გამოსვლის შემდეგ, ჩვენმა ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ორი ქართველი ისტორიკოსის წერილი. ერთის გვარი იყო ლამბაშიძე, მეორეს ჰქონდა აბხაზური გვარი, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ. წერილში სასტიკად იყო გაკრიტიკებული ეს წიგნები და გალანძღული ლენგი. კრიტიკა ემყარებოდა მარქსიზ-ლენინიზმის თეორიას. მომეჩვენა, რომ მე მომაყენეს პირადი შეურაცხყოფა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხასიათზე დადგებოდა თვითონ ლენგი. მან ცაში აიყვანა ქართველები, გააცნო უცხოელებს ჩვენი ღირსებები, ერთი სიტყვაც არ უკადრებია ჩვენს გასაკრიტიკებლად და სამაგიეროდ მიიღო უშვერი ლანძღვა. თანაც მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ კრიტიკოსებს ლენგის წიგნები არც წაუკითხავთ. თამამად შეიძლება ითქვას, ინგლისური არც იცოდნენ, რადგან სპეციალურ საცავში იყო და ეგრე ადვილად არ იძლეოდნენ დასათვალიერებლადაც კი. ღმერთო ნუ მიწყენ, მაგრამ სტატია ალბათ დაიწერა კგბ-ს დაკვეთით. ისე კი საკითხავია, თუ ვინ არის ვალში, — ლენგი ჩვენს მიმართ ზოგიერთი უზუსტობების გამო თუ ქართველები ლენგის მიმართ ასეთი ტუტუცური მოქცევის გამო.

ეს ყველაფერი წარსულის ამბავია, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის აქტუალობას არ ჰკარგავს. საერთოდ, ჩვენი ხსნა შეუძლია მარტო დასავლეთს, უფრო სწორად ამერიკას. ხშირად გამიგია ამერიკელებს თავიანთი ინტერესები აქვთ, მათ უნდათ ჩვენ დაგვიპყრონ, მოსპონ ჩვენი კულტურა და ა. შ. ამერიკელებს, რა თქმა უნდა, აქვთ თავიანთი ინტერესები, კერძოდ, არ უნდათ რომ რუსეთმა ყველა გადაყლაპოს, მაგრამ თუ ეს ინტერესები ემთხვევა ჩვენს ინტერესებს? დროა მოვიდეთ ჭკუაზე. რუსეთის გენერალურ შტაბს დიდი ხანია მიცემული აქვს დავალება — განადგურებულ იქნას საქართველო!.. რისთვისაც ალბათ შემუშავებულიც არის სათანადო ოპერატიული გეგმა. დარწმუნებული ვარ, ამ გეგმის სისრულეში მოყვანას ხელს აუწევს რუსეთის პარლამენტის ყველა წევრი. ევროპას ჩვენი შველა არ შეუძლია, მით უმეტეს, არ შეუძლია ეს გაერთიანებულ ერებს თავისი კოფი ანანით. ერთადერთი რაც აჩერებს რუსეთს, ეს არის ამერიკა, ამიტომ უმჯობესია მეტიჩრობას თავი დავანებოთ და კარგად გავარჩიოთ მტერ-მოყვარე. მივხედოთ ჩვენს მეტასტაზებს.

**ვახტანგ ჭიჭინაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.**

ინფორმაცია

## მეცნიერებათა აკადემიას გაუქმება ემუქრება

**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მეცნიერებათა აკადემიის გადარჩენის თხოვნით თავის ევროპელ კოლეგებს მიმართავს. (თამაზ გამყრელიძის ეს წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელ ნომერში).

გამყრელიძე მეცნიერებათა აკადემიის გაუქმების მცდელობაზე ღიად საუბრობს და სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების გენერალურ ასამბლეაზე აღნიშნული საკითხის განხილვას ითხოვს.

„ზოგიერთ ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურას განზრახული აქვს მეცნიერებათა აკადემიის რეფორმირების მოტივით, ფაქტობრივად, გააუქმოს მეცნიერებათა აკადემია და იგი გადააქციოს აკადემიკოსთა არსებითად უფუნქციო საზოგადოებად, ერთგვარ ასოციაციად, რომლის წევრებს დაენიშნებათ „სტიპენდიები", ხოლო მეცნიერებათა აკადემიაში აქამდე შემავალ ინსტიტუტებს მოეხსნებათ საბიუჯეტო დაფინანსება და ისინი გადაეცემა სხვადასხვა უნივერსიტეტსა და სახელმწიფო უწყებას, რაც საბოლოო ანგარიშით ამ ინსტიტუტების და კვლევითი ცენტრების ლიკვიდაციას მოასწავებს", — აცხადებს თამაზ გამყრელიძე სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციის პრეზიდენტის პიტერ დრენთის სახელზე გაგზავნილ წერილში.

ამავე წერილში თამაზ გამყრელიძე იმასაც აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარების ისეთი პრიორიტეტები ისახება, რომელიც საქართველოს ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების ტენდენციებს არ შეესაბამება და „გარედანაა ნაკარნახევი".

## აფხაზურმა მხარემ შეხვედრა ჩაშალა

**საქართველოს** რკინიგზელ ექსპერტთა ჯგუფში აფხაზეთიდან დევნილი ექსპერტების ყოფნის გამო აფხაზურმა მხარემ სოხუმში დაგეგმილი რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ფარგლებში მოქმედი რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის სამთავრობო კომისიების ტექნიკური ჯგუფების შეხვედრა ჩაშალა.

ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია იმედოვნებს, რომ ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოლაპარაკებების ფონზე, აფხაზური მხარე გადახედავს საკუთარ გადაწყვეტილებას აფხაზეთიდან დევნილ ექსპერტებთან დაკავშირებით, რომელთა მონაწილეობა შეხვედრაში მხარეებს შორის შეთანხმებული იყო.

ალასანია იმედოვნებს, რომ აფხაზური მხარე არ დაარღვევს სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკური მდგომარეობის შესასწავლად სპეციალისტთა მონაწილეობის შესახებ მიღწეულ შეთანხმებას და სწორედ მათი მონაწილეობით განხორციელდება სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის შესწავლა.

## გიგი უგულავას საკრებულოში იბარებენ

**თბილისის** საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტის" წევრები დედაქალაქის ახალ მერს გიგი უგულავას საკრებულოში იბარებენ და მოსკოვში, პარიზსა და სტრასბურგში განხორციელებულ ვიზიტებთან დაკავშირებით ანგარიშის წარდგენას სთხოვენ.

"ლეიბორისტების" მონაცემებით, უგულავას საფრანგეთში ვიზიტისთვის, სადაც იგი მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, დედაქალაქის ბიუჯეტიდან 6 510 ლარი დაიხარჯა.

რაც შეეხება თბილისის მერის მოსკოვურ ვოიაჟს, ამ ხარჯების ოდენობა „ლეიბორისტებისთვის" უცნობია, თუმცა, მათთვის ცნობილია, რომ გიგი უგულავა რუსეთის დედაქალაქში ქართველ მოქანდაკეს ზურაბ წერეთელს შეხვდა, „რომელთანაც მას კერძო ბიზნეს-ინტერესები გააჩნია".

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „ლეიბორისტის" წარმომადგენელმა სოსო შატბერაშვილმა თბილისის მერს შეახსენა, რომ იგი იმ ქალაქს ხელმძღვანელობს, სადაც მიწისძვრით დაზარალებული და სოციალურად დაუცველი უამრავი ადამიანი ცხოვრობს და ამის გათვალისწინებით, საბიუჯეტო თანხები მიზნობრივად უნდა იხარჯებოდეს.

იმ შემთხვევაში თუ უგულავა „ლეიბორისტების" მოთხოვნას არ გაითვალისწინებს და საკრებულოს წინაშე ანგარიშით არ წარსდგება „ლეიბორისტები" მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებენ.

## ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაცია

**საქართველოსა** და ფინეთის სასაზღვრო უწყებების პირველმა პირებმა ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაცია გააფორმეს. ხელმოწერის საზეიმო ცერემონია გუშინ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გაიმართა.

დოკუმენტს ხელი საქართველოს სასაზღვრო უწყების პირველმა პირმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბადრი ბიწაძემ და ფინეთის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა, ვიცე-ადმირალმა იააკო ჰოლანდერმა მოაწერეს.

როგორც ხელმოწერის დასრულების შემდეგ ვიცე-ადმირალმა იააკო ჰოლანდერმა განაცხადა, სექტემბრიდან საქართველოში ფინელი ექსპერტი ჩამოვა, რომელიც ქართულ მხარეს როგორც ტრენინგების გამართვაში, ისე კანონმდებლობის დახვეწაში დაეხმარება.

## სამხედრო საზღვაო ძალები გადიან

**ბათუმის** №12-ე რუსული სამხედრო ბაზის კუთვნილი მძიმე მუხლუხებიანი ტექნიკა საქართველოს ტერიტორიას დღეს რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალების ორი სადესანტო ხომალდით დატოვებს.

როგორც ინტერპრესნიუსს ბათუმის გარნიზონის კომენდანტმა გოჩა ნინიძემ განუცხადა, სადესანტო ხომალდები „ნიკალაი ფილჩენკო" და „აზოვი" 40 ერთეულ ტექნიკას გემბანზე დილის 8-დან 10 საათამდე აიყვანს და ნოვოროსიისკენ გაემართება.

20 ტანკი, 10 საზენიტო კომპლექსი, 5 საზენიტო თვითმავალი დანადგარი და 5 ჯავშან-მანქანა უკვე გონიოს პოლიგონზეა გადაყვანილი. საქართველოდან მისი გაყვანის პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კონტროლით ხორციელდება.

**ინტერპრესნიუსი**

◎ მეცნიერება

# დროა, ვიზრუნოთ ხარისხის მენეჯერთა მოსამზადებლად

**თანამედროვე მსოფლიოში პროდუქციის ხარისხი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებას სასაქონლო ბაზარზე. იგი წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის გაზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. პროდუქციის ხარისხის ამაღლება ხელს უწყობს იმპორტჩანაცვლების პროცესის დაჩქარებას, ექსპორტის გაზრდას, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მისი, როგორც საერთაშორისო ბაზრის სუბიექტის, სტატუსის განმტკიცებას.**

**ეს უპირატესი ჭეშმარიტება კარგად მოეხსენებათ ჩვენს მეცნიერ ეკონომისტებს, მაგრამ [illegible] პროდუქციის ხარისხმა იმატოს და [illegible] ბაზარზე, საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანი გახდეს? ამის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ [illegible] — დოცენტ ნოდარ ბა[illegible] და პროფესორ ზაურ ნადირაშვილს.**

[illegible] განსხვავებით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება პროდუქციის ხარისხის ამაღლების მეთოდებისა და საშუალებების განვითარების ახალი მიმართულების შექმნა, რომელიც დამყარებულია ხარისხის ყოვლისმომცველი მენეჯმენტის (TOM) კონცეფციაზე. მისი თეორიული საფუძვლები ჩამოაყალიბეს მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტებმა ა. ფეიგენბაუმმა, ე. დემინგმა, ჯ. ჯურანმა, ფ. კროსბიმ და სხვებმა.

ამ კონცეფციის პრაქტიკული განხორციელების ძირითადი მიზანია პროდუქციის ხარისხის ამაღლება და ამის საფუძველზე მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა ხარისხის მენეჯმენტის [illegible] გზით. სოციალური ასპექტით კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა როგორც საწარმოს (ფირმის) პერსონალის, ასევე მომხმარებელთა, მთელი საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილება, ხოლო ეკონომიკური ასპექტით — საწარმოო დანახარჯების მინიმიზაცია და შემოსავლების გაზრდა.



კონცეფციამ საერთო აღიარება ჰპოვა აშშ-ში, გერმანიაში, ინგლისში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში.

**— მაგრამ ამ ქვეყნებში ვიდრე წარმატებას მიაღწევდნენ, ალბათ, დიდი შრომა დასჭირდათ ხარისხის სფეროში კადრების მოსამზადებლად.**

— რა თქმა უნდა, ზემოთ დასახელებული ამოცანის შესრულება რომ შეძლოს, თითოეული ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს ფუნდამენტურ ცოდნას ხარისხის სფეროში, რაც მიიღწევა ხარისხის მენეჯმენტის საფუძვლების ღრმად დაუფლების გზით. ასეთი კვალიფიკაციის სპეციალისტის — ხარისხის მენეჯერის მომზადება (TOM) კონცეფციის საფუძველზე დღეისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად ითვლება მთელ მსოფლიოში. იზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერესი ამ კონცეფციის მეთოდოლოგიისადმი, რაც კარგად გამოვლინდა 1999 წელს მადრიდში ჩატარებულ ხარისხის ევროპული ორგანიზაციის 43-ე კონგრესზე.

ავიღოთ ამერიკის მაგალითი. რას წარმოადგენს აქ მომზადებული ხარისხის მენეჯერი? [illegible] ხარისხის ამერიკული საზოგადოების (ASO) სერტიფიკატის ფლობა. ატესტირებული სპეციალისტი ფირმისთვის წარმოადგენს დამატებით ღირებულებას, რომელიც ხელს უწყობს ამ ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ასეთი სპეციალისტის ანაზღაურება წელიწადში 20 ათასი დოლარით უფრო მეტია, ვიდრე ფირმის იმ თანამშრომლისა, რომელიც ანალოგიურ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ არ ფლობს დასახელებულ სერტიფიკატს.

ამჟამად ხარისხის მენეჯერებს ამზადებს ევროკავშირის ქვეყნების 90-ზე მეტი უნივერსიტეტი. გერმანიაში, მაგალითად, კვალიფიციური ხარისხის მენეჯერს ამზადებენ ორი მიმართულებით. პირველი — დიპლომირებული სერტიფიცირებული სპეციალისტის მომზადება ხდება უნივერსიტეტში, რომელიც ფუნქციონირებს ტრადიციული რეჟიმით. მეორე მიმართულება გულისხმობს კომპეტენტური ორგანოს მიერ დიპლომირებული სპეციალისტის „მიყვანას კონდიციამდე“, ანუ მის დამატებით მომზადებას კონკრეტული სამუშაო ადგილების მოთხოვნების შესაბამისად, ატესტაციას და სერტიფიცირებას.

მმართველობითი აზრის ახალი მიგნება გახლავთ ბენჩმარკინგი, რაც გულისხმობს საკუთარი ბიზნესის საუკეთესო ანალოგებთან [illegible]

**[illegible] რაც [illegible] ოში?**

[illegible] ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობამ, ქვეყნის მრავალი მოქალაქე აიძულა, ხელი მოეკიდა ისეთი ბიზნესისთვის, რომლის ხორცშესხმა სპეციალურ ტექნიკურ და მენეჯერულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს, რაც ახალ მეურნე სუბიექტს, უმეტეს შემთხვევაში, არ აღმოაჩნდა და პრობლემების წინაშე საკუთარი თავის იმედად დარჩა. ცხადია, ამის გამო დიდია ბიზნესის კრახით დამთავრების ალბათობა.

ამ ფონზე, ბუნებრივია, კიდევ უფრო რელიეფურად იკვეთება საქართველოში ხარისხის მენეჯერთა მომზადების პრობლემა. მაგრამ თუ იმ დოკუმენტის (საერთაშორისო სტანდარტი) მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლის შესაბამისადაც უნდა დაიწყოს საქართველოში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება, ცხადი გახდება, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა შორს გადაიწევს. ამას ხელს უწყობს თავად დოკუმენტი, რომელიც ჩვენში არ ითვალისწინებს ხარისხის მენეჯერის კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებას, რაც დასანან გაუგებრობად მიგვაჩნია. ამან არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს საქართველოში ბიზნესის განვითარებასა და საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია უმაღლესი განათლების სპეციალობათა კლასიფიკატორის პროექტში შევიდეს შესაბამისი კორექტივი — უახლოეს მომავალში ხარისხის მენეჯერთა, მათ შორის სამომხმარებლო პროდუქციის ხარისხის მენეჯერთა მომზადება.

მით უფრო, რომ ჩვენში დაფუძნებული უმაღლესი განათლების მიღების სამსაფეხურიანი სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ დღესვე შევუდგეთ ხარისხის მენეჯერთა მომზადებას. ამასთან, ჩვენი აზრით, ორიენტაცია უნდა ავიღოთ გერმანულ ვარიანტზე, რაც დიპლომირებული სპეციალისტის მომზადებას ითვალისწინებს. ხარისხის მენეჯერის მომზადების პრინციპული სქემა ჩვენ ასეთნაირად წარმოგვიდგენია: მომავალი სპეციალისტი შესაბამის საბაზო ტექნიკურ და ეკონომიკურ ცოდნას დაეუფლება ბაკალავრიატში. ეს იქნება დიპლომირებული სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი ტრენინგისა და ატესტირების შემდეგ მიიღებს ხარისხის შიგა აუდიტორის კვალიფიკაციას. ბაკალავრს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში, სადაც საბაზო განათლების მიღება წარიმართება კონკრეტული სამუშაო ადგილის შესაბამისად. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ (სამაგისტრო შრომის დაცვით) იგი გახდება დიპლომირებული სპეციალისტი — ხარისხის მენეჯერი, რომელსაც შესაბამისი თანამდებობის დაკავება მხოლოდ სპეციალური ტრენინგისა და სერტიფიცირების შემდეგ შეუძლია. ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება, ხარისხის აუდიტორთა და ხარისხის მენეჯერთა ატესტაციის ორგანოს შერჩევა და დადგენილი წესით მისი აკრედიტაცია.

დღეისათვის პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სამომხმარებლო პროდუქციის ხარისხის პრობლემების კვლევა საქონელმცოდნეობის კომპეტენციაში შედის. მზადდება შესაბამისი კვალიფიკაციის უმაღლესი განათლების სპეციალისტები, რომელთა დასაქმება ხდებოდა საქონელმიმოქცევის სფეროში, სამრეწველო საწარმოების ხარისხის კონტროლის განყოფილებებში, ხარისხის ექსპერტიზის ბიუროებში, ხარისხის კონტროლისა და ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოებში, ე. ი. საქმიანობის ისეთ უბნებზე, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ექსპერტ-აუდიტორების, ხარისხის მენეჯერების, ხარისხის შიგა აუდიტორების დასაქმების სფეროებს წარმოადგენენ. მათი მომზადების ტრადიცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა და ისინი 1925 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მზადდება.

აქვე დავძენთ, რომ ამ უნივერსიტეტში, ყოფილ საქონელმცოდნეობის კათედრებს, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის კვალობაზე მთლიანად შევუცვალეთ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის პროფილი, აქვთ საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავთ მაღალკვალიფიციური ტექნიკური და ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო კადრები, გააჩნიათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ხარისხის მენეჯერები მოამზადონ. ოღონდ საჭირო იქნება სასწავლო გეგმების და პროგრამების ადაპტირება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აპრობირებულ შესაბამის დოკუმენტებთან, მათი ჰარმონიზაციის მიზნით, რაც გარკვეული პარალელებისა და ანალოგიების გამო არსებით სიძნელეს არ წარმოადგენს. ცხადია, საჭირო იქნება სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფაც. ამ მიმართულებით მყარდება კონტაქტები ევროპის უნივერსიტეტებთან და სხვადასხვა ფონდებთან.

აუცილებლობის შემთხვევაში ხარისხის მენეჯერები შეიძლება მოამზადონ სპეციალისტებმა, რომელთაც აქვთ შესაბამისი საბაზო განათლება და ფირმის ტექნიკური კონტროლის სამსახურში, ტექნოლოგიურ ან საწარმოო დანაყოფებში მუშაობის გამოცდილება. ამისათვის საჭიროა სპეციალისტთა გადამზადება შესაბამის აკრედიტებულ დაწესებულებებში. მაგრამ ხარისხის მენეჯერთა მომზადების ეს გზა არ მიგვაჩნია რაციონალურად. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მომზადების იმ ფორმას, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს პირველი კურსიდანვე იყოს ორიენტირებული სპეციალობაზე.

რაც შეგვეხება ჩვენ, სიამოვნებით მივიღებდით მონაწილეობას ალტერნატიული პროექტების განხილვაში.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი.**

◎ გვწერენ

# რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს

## ხეების ჩრდილქვეშ

**ამას წინათ ნინო ქვანიას სახელობის სკვერს ვეწვიე. ამ ბაღის ხშირი სტუმრებისგან, პენსიონერებისგან, წერილი მივიღეთ და იმიტომ.**

„ცუდია სიბერე, თითქოს ზედმეტი ხარ, არადა, ერთ დროს ჩვენც გვიშრომია, გვიწვალია, ახლა კი ისიც არავის აინტერესებს, 28 ლარით თავი როგორ გაგვაქვს. ან იქნებ საჭმელზე



უფრო სულიერი საზრდო გვაკლიაო“, — ასე წერდა **ნინო გვარამაძე**, რომელიც უმთავრესად ქალაქის მერს მიმართავდა თხოვნით, პენსიონერთა სულიერ ცხოვრებაზეც ეზრუნა, თუნდაც დაევალებინა შესაბამისი სამსახურისთვის გასართობი პროგრამა შეემუშავებინათ და ნინო ქვანიას სახელობის ბაღში კვირაში ერთი დღე ამისათვის გამოეყოთ.

ხეების ჩრდილქვეშ გრძელ სკამებზე ჩამომსხდარი მოხუცები ტკბილად მუსაიფობდნენ. ხანგრძლივი საუბრისთვის ისევ ერთმანეთს თუ მოიხელთებენ. ზოგიერთები, თურმე, ამ ბაღის კეთილმოწყობაშიც მონაწილეობდნენ. მათ შორის დამსახურებული პედაგოგი, 89 წლის ქალბატონი მარიამ რუხაძეც. ძალიან გაეხარდათ ჩემთან შეხვედრა. ბევრი მხიარული თავგადასავალიც გაიხსენეს და გულისტკივილიც შეულამაზებლად გამიზიარეს: „მთავრობას ჰგონია, რადგან 28 ლარით პურის ყიდვა ყოველდღიურად შეგვიძლია, სხვა არაფერი გვჭირდება, არადა, მარტო ჭამა რა არის სულიერი ცხოვრების გარეშე? კინოც გვენატრება და თეატრიცო“.

მართლაცდა, საინტერესოდ მოფიქრებული გასართობი პროგრამა პენსიონერების მოწყენილ ცხოვრებას, როგორ გაახალისებდა? მერედა, რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს სასიხარულოდ?!

## რატომ არ მეკუთვნის 45-ლარიანი პენსია?

**მცხეთის რაიონის სოფელ ძველ ქანდაში მცხოვრები 84 წლის რევაზ ხოშაბაევი, თურმე, რამდენიმე წელიწადია უშედეგოდ ცდილობს სახელმწიფოს მიერ სამამულო ომის მონაწილეთათვის დაწესებული 45-ლარიანი პენსიის დანიშვნას.**

2003 წელს მას ჯერ მცხეთის რაიონის სასამართლოსთვის მიუმართავს. სასამართლოს 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით კი დადასტურებულა, რომ იგი ნამდვილად მსახურობდა 133-ე სამხედრო ნაწილში მენაღმედ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მისთვის 35-ლარიანი პენსიის დანიშვნა შეუთავაზებიათ, რაზეც ბატონ რეზოს უარი განუცხადებია და ბრძოლა გაუგრძელებია. სხვადასხვა ინსტანციებში სიარულის შემდეგ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში 2005 წლის 25 მაისს მას მიუღია ცნობა, რომ იგი ითვლება სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულად და ასეთი კატეგორიის ადამიანებისთვის სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ყველა შეღავათს იმსახურებსო. სოცუზრუნველყოფის ფონდის მცხეთის ფილიალში ამ ცნობის წარდგენის შემდეგ 2005 წლის მაისიდან მას დაენიშნა პენსია — 35 ლარი.

„გთხოვთ, გამარკვიოთ, მეკუთვნის თუ არა 45-ლარიანი პენსია, თანაც 2003 წლის 25 აგვისტოდან?“ — გვეკითხება ბატონი რევაზი და სიმართლის დადგენაში დახმარებას გვთხოვს.

ჩვენ დავუკავშირდით სოცუზრუნველყოფის ფონდის პარლამენტთან ურთიერთობისა და კოდიფიკაციის განყოფილების უფროსს **ბაკურ ფიფიას** და ფონდის მცხეთის ფილიალის განყოფილების უფროსს **გიორგი გელოვანს.** მათი თქმით, რადგანაც რევაზ ხოშაბაევი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულად არის აღიარებული და არა მონაწილედ, კანონით მას არ ეკუთვნის 45-ლარიანი პენსია და 35 ლარი სწორად აქვს განსაზღვრული, მაგრამ მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან კანონში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ფონდს ის კი შეუძლია, რომ პენსია დაენიშნოს არა 2005 წლიდან, არამედ წინა წლებიდან. ამისათვის კი, მან ხელახლა უნდა მიმართოს განცხადებით ფონდის მცხეთის ფილიალს.

გურჯაანიდან კი **ნაირა როსტომაშვილი** მადლობას უხდის სახალხო ბანკის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს **დავით რობაქიძეს** და სპეციალისტს **ანი ელიზბარაშვილს,** რადგან მან სწორედ ამ ადამიანების დახმარებით შეძლო მცირეოდენი გაუგებრობის აღმოფხვრა და კუთვნილი პენსიის — 45 ლარის მიღება. „რომ არა ისინი, ვინ იცის, პენსიის მოლოდინში რამდენ ხანს ვივლიდი ამაოდო“.

## როგორ შეიძლება, არ გაღელვებდეს...

**როგორ არ უნდა მაღელვებდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალს უკავშირდება, — გვწერს ბატონი ოთარ თოლორაია და რამდენიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე თავის თვალსაზრისს გვიზიარებს:**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილმა დეპუტატ მიხეილ მაჭავარიანის წერილმა — „საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზები უნდა გავიდნენ“ — მას, თურმე, ძველი დრო გაახსენა, როდესაც მივლინებით ჩადიოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, ხან კი თავად მასპინძლობდა ჩამოსულ სტუმრებს. ავტორის აზრით, ქართველები ყოველთვის გადაჭარბებულ პატივისცემას იჩენდნენ სტუმრების მიმართ, მათ კი ზოგჯერ მადლობის თქმაც ავიწყდებოდათო. ახლა კი დროა, ჭკუა ვისწავლოთ და ვინც პატივს არ გცემს, ჩვენც ნუ ვიქნებით მათ მიმართ კეთილგანწყობილნიო.

სხვა წერილში ბატონი ოთარი ნარკომანიის წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი ფიქრობს, რომ ამ მავნე სენის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს.

ბატონი ოთარი ქალაქის ქუჩებში მაწანწალა ძაღლების აგრესიულად მომრავლებას შეუშფოთებია. იგი ფიქრობს, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო. კერძოდ, უნდა დაწესდეს გადასახადი ძაღლების პატრონთათვისო.

კიდევ ძალიან ბევრი პირადი თუ საზოგადო პრობლემა აღელვებთ პენსიონერებს. წუხან, შფოთავენ, თავისებურად სჯიან, ფიქრობენ და ჩვენც გვიზიარებენ.

**ლელა ჟოლიკაშვილი.**

◎ ინფორმაცია

## მეწყერმა შეაფერხა

**ახალქალაქის №62 რუსული სამხედრო ბაზის კუთვნილმა ავტომანქანებმა, რომლებიც მცხეთიდან ლარსის მიმართულებით გუშინ, დილის 05 საათზე გაემგზავრნენ, საქართველოს ტერიტორია დატოვეს. ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე კოლონა მესაზღვრეებმა და მებაჟეებმა შესაბამისი შემოწმების შემდეგ გაატარეს.**

**11 ერთეული სამხედრო ავტომანქანა ვლადიკავკაზის გავლით ქალაქ პრახლადნიში ჩავა და 135-ე პოლკში განლაგდება. მისაბმელები კი, რომლებიც კოლონის უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფდნენ, ახალქალაქის ბაზაზე დაბრუნდებიან.**

**რუსული სამხედრო ბაზის კუთვნილი ავტომანქანები მცხეთაში რამდენიმე დღე იყო გაჩერებული. ავტომანქანების გადაადგილება საქართველო-რუსეთის საზღვართან მეწყერის ჩამოწოლის შედეგად გზის დაზიანების გამო, ასევე ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის გამო, შეფერხდა.**

## მორიგი საკადრო ცვლილებები პოლიციაში

**შიდა ქართლის ძალოვან უწყებებში მორიგი საკადრო ცვლილებები განხორციელდა. უკვე ცნობილი გახდა, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს გორის პოლიციის უფროსი დავით დათაშვილი.**

**დავით დათაშვილის ადგილს, სავარაუდოდ, შინაგან საქმეთა გორის სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი მიხეილ კანდელაკი დაიკავებს.**

**სამხარეო პოლიციიდან ასევე გათავისუფლებულია სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ზურაბ რაზმაძე.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ზურაბ რაზმაძე ის პოლიციელია, რომელმაც გასულ ზაფხულს განვითარებული მოვლენების დროს მაშინდელი შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ოპერაციის დროს წინა ხაზზე მიატოვა. მაშინ ზურაბ რაზმაძე დიდი ლიახვის ხეობაში ქურთის პოლიციას ხელმძღვანელობდა.**

**გორის პოლიციის ყოფილი უფროსი დავით დათაშვილი, სავარაუდოდ, სწორედ ზურაბ რაზმაძის ადგილს დაიკავებს და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას უხელმძღვანელებს.**

## ოსეთიდან სლოვენიის მოქალაქე გააძევეს

**სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიიდან სლოვენიის მოქალაქე გააძევეს. ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსი“ შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენლებზე დაყრდნობით იუწყება.**

**სლოვენიის მოქალაქე მატრიც განიცი სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონაში მდებარე დასახლებული პუნქტის წნელისის მიდამოებში დააკავეს, სადაც ის გაერთიანებულ შტაბთან შეუთანხმებლად იმყოფებოდა.**

**დაკავებულმა განაცხადა, რომ საქართველოში ტურისტად ჩამოვიდა, კონფლიქტის ზონაში კი „ცნობისმოყვარეობის გამო“ შევიდა.**

**სლოვენიის მოქალაქე საქართველოს შს სამინისტროს გადაეცა, — განაცხადა სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის წარმომადგენელმა.**

## წყნეთში სპორტული კომპლექსი გაიხსნა

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს თანამშრომლობის შედეგად, გუშინ დაბა წყნეთში აფხაზეთიდან დევნილი და ადგილობრივი ბავშვებისათვის ევროპული სტანდარტების სპორტული კომპლექსი გაიხსნა.**

**გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ, საქართველოში მოქმედი ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს წარმომადგენლებმა, პროექტის ხელმძღვანელმა გერ ლისრერედმა, ცენტრის დირექტორმა არილდ ბრეკენმა, თბილისის საკრებულოს და მერიის აპარატის უფროსმა მამუკა ახვლედიანმა, აფხაზეთის მთავრობისა და თბილისის მერიის წარმომადგენლებმა მიიღეს.**

**საქართველოში ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ცენტრის დირექტორის არილდ ბრეკენის ინფორმაციით, წყნეთში გახსნილი სპორტული კომპლექსი 35 ათასი ლარი დაჯდა.**

**ბრეკენის განცხადებით, ისინი წლის ბოლომდე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობით დევნილთა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში კიდევ რამდენიმე სპორტული კომპლექსის გახსნას გეგმავენ.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ მოგზაურის კვერთხი

# ჩვენებურები

## 10. „არ დაგავიწყდეს, რომ შენიცაა ის მემლექეთი“

**სტამბოლში ჩემი სტუმრობის დღეები იწურებოდა, გული მწყდებოდა, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული აქაური ქართველის, რომელსაც ჩვენებურები თავიანთ ილია ჭავჭავაძედ მოიხსენიებენ, ვაჟის — იბერიას გაცნობა რომ ვერ მოვახერხე. და აი, წამოსვლიდან ერთი დღით ადრე, ჩვენს სასტუმროში ტელეფონი აწკრიალდა. ქალბატონ შუშანას ბატონ ახმედის მეუღლე იუქსელი ურეკავდა. ეს ორი ქალბატონი დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს და მეგობრობენ. რომ გაიგო შუშანასთან საქართველოდან ჩამოსული სტუმრებიც იყვნენ, ქალბატონმა იუქსელმა იბერიას სახლში მიგვიპატიჟა.**

იმ საღამოსაც იუსუფ მიქელაძე მოგვევლინა მხსნელად. თუფანის (სულხანის) „რაფში“ ჩავსხედით, იუსუფი საჭეს მიუჯდა და უსკუდარისკენ გავწიეთ.

უსკუდარი, ჩვენი სასტუმროდან ორი საათის სავალზე, სტამბოლის აზიურ მხარეს მდებარეობს. როგორც აქაურებმა გვითხრეს, ეს უსკუდარი ძველი ანტიკური ქალაქია. იგი თავისებური სპეციფიკით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს, აქ ბევრი თანამედროვე შენობა აიგო, უსკუდარში და მის შემოგარენში მაინც აღმოსავლეთის ქალაქის ატმოსფერო ბრძანებლობს.

ანტიკურ ხანაში მას „კრისოპოლისი“ ერქვა, რაც „ოქროს ქალაქს“ ნიშნავს. ამ სახელთან დაკავშირებით ბევრი ლეგენდა არსებობს. ერთი ლეგენდის თანახმად, „ოქროს ქალაქი“ იმიტომ ერქვა, რომ აქაურობა უბადლო ბუნებრივი სილამაზით გამოირჩეოდა, მეორე — ჩამავალი მზის სხივებზე არეკლილი ზღვის წყალის ფერს უკავშირდებოდა. მესამე ლეგედის თანახმად, გემი, რომელიც სტამბოლში შემოდიოდა, ბაჟს ოქროთი იხდიდა. სხვა ვერსიაც არსებობს, როდესაც სპარსელებმა ანტალია გაძარცვეს, ნადავლი და დიდძალი ოქრო, სიჩქარეში, ამ ადგილას დავიწყნიათ.

რომისა და ბიზანტიის დროს, კონსტანტინეპოლის ამ რაიონში სამხედრო გარნიზონი ყოფილა და იმპერატორის დაცვის ცხენოსანი არმია მდგარა, ამ პოლკს „სკუტარი“ ერქვა. აი, აქედან მოდის სტამბოლის ამ უმშვენიერესი რაიონის, დღევანდელი სახელიც.

აქაურობა კიდევ ბევრი რამის გამოა განთქმული — უსკუდარი იყო სწორედაც ის ადგილი, საიდანაც სალოცავად მიემართებოდნენ ხოლმე ქარავნები. აქედან აგზავნიდნენ იმპერატორების დეპეშებს შორეულ ანატოლიაში. აქ აშენებულ ჯამებსა და მინარეთებს ხომ ბადალი არა ჰყავთ მთელს აღმოსავლეთში. უსკუდარში 1547 წელს მიხრიმან სულთანის ბრძანებით, მისი ქალიშვილის საპატივცემულოდ აშენებული მეჩეთი ერთ-ერთი ყველაზე ძველი გამოჩენილი ხუროთმოძღვრების ნიმუშია.

„მიხრიმან სულთანის“ შავი ხითა და სპილოს ძვლით მოპირკეთებული ჭიშკარი, რომელიც პერლამუნტითაა ინკრუსტაცირებული, მსოფლიოს მრავალ ტურისტს იზიდავს თავისი უნიკალურობით, აქვე პირველადაა გამოყენებული მრავალი ფანჯრები. რომელიც ოსმანური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია.

უსკუდარის მოედანს 1728 წელს აშენებული წყარო ამშვენებს, ახმედ-3-ს დედამისის პატივსაცემად რომ აუშენებია, მრავალრიცხოვან ონკანებს, რომლებიც წყლის დასალევად გამოიყენება, ფასადზე ამოტვიფრული გამოჩენილი ოსმანი პოეტების ლექსებიც ამშვენებს.



უსკუდარზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. აი, ასეთ გამორჩეულ უბანში ცხოვრობს იბერია მელაშვილი. იუსუფის მსგავსი ყოჩაღი მძღოლი რომ არა, ჩვენ მათ სახლამდე ვერც მივაღწევდით. უზარმაზარი მეგაპოლისი ჩვეულებისამებრ მანქანების ზღვას წაელეკა, მერე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, არსად წესრიგის დამცველი რომ არ დგას და თავზეხელაღებულ მძღოლებს რა გამოლევს, რამდენჯერმე საავარიო სიტუაციაშიც კი აღმოვჩნდით, ჩვენი დაგვიანებით შეწუხებულმა იბერიამ რამდენჯერმე დარეკა და მოგვიკითხა.

უკვე კარგად დაღამებული იყო, როცა მელაშვილების სახლს მივადექით.

უსკუდარის ცაზე უზარმაზარი მთვარე ეკიდა, ჩვენი მანქანა მაღალი გალავნით გარშემორტყმული მდიდრების სახლების წინ შეჩერდა.

მელაშვილების კორპუსი სწორედაც მის წინ დგას. ქუჩაში გამოგვეგებნენ იბერია და მისი ქალიშვილი ნათია. ქერა, ხვეულკულულებიან პატარა ნათიას ფრთებიღა აკლდა, თორემ მართლა ანგელოზს ჰგავდა. — გამარჯობათო, — გვითხრა და ხელი გამოგვიწოდა.

კარებში შემოგვეგება ქალბატონი იუქსელი და სათითაოდ ჩაგვიკრა გულში — მოდით, ჩემო საყვარლებო, მოდით, — ისე გვეფერებოდა თითქოს დიდი ხნის უნახავი ნათესავები ვყოფილიყავით. მე ასე მეგონა დედაჩემი მიხუტებდა გულში. თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, გვითხრა, ყველა ქართველი და მით უმეტეს „მემლექეთელი“ ჩემი ახლობელიაო.

ოთახში შესულებს თავი თბილისში, ქართველის ოჯახში გვეგონა.

კედლებზე ქართული პეიზაჟები და ქართული ხალხური საკრავებია გამოფენილი, თაროებზე ქართული სასმელებია შემოდგმული, თაროში ქართული წიგნები აწყვია, ამას აგვირგვინებს მშვენიერი ქართულით მოსაუბრე პატარძალი, იბერიას მეუღლე — ეკა ირემაძე, რომელსაც თბილისში უსწავლია და შემდეგ, ბატონ ვაჟა გუჯაბიძის ასპირანტი ყოფილა. ეკა უსკუდარში ლიცეუმის მასწავლებელია.

ყველაზე მეტად იყო აღელვებული ქალბატონი იუქსელი, რომელსაც ძალიან უჭირდა ქართულად მეტყველება და ხშირად უხმობდა ეკას დასახმარებლად.

— ესენი, — ნათიაზე და 9 წლის ბექაზე მიგვითითებს ქალბატონი იუქსელი, — იბერიას და ეკას შვილები არიან. ჩემს ქალიშვილს თამარსაც ორი შვილი ჰყავს — დილა და მერანი, — აფსუს, რატომ დღეს ისიც ჩვენთან არ არის, — სინანულით თავი გადაიქნია დიასახლისმა.

სავარძელში მჯდომ ბებიას პატარა ნათია მოსვენებას არ აძლევდა, ხან კისერზე შემოეხვეოდა, ხან კალთაში ჩაუჯდებოდა. მშვენიერი ქალბატონი იუქსელი, რომლისთვისაც დროს აგრერიგად ვერაფერი დაეკლო, თვალცრემლიანი შემოგვცქეროდა და ჩემს შეკითხვებს, რომ პასუხობდა, ისე იყურებოდა, თითქოს წარსულში იცქირებოდა.

— დიდი სიმწარე მაქვს, 25 წლის წინათ (მოკლესო არ ამბობს) გარდაიცვალა ჩემი მეუღლე, რისაც გვეშინოდა, არ აგვცდა.

იხ. მე-6 გვ.

**სურათზე: ბექა, ქალბატონი იუქსელი, ნათია, იბერია; დგანან: დილა — თამარის ქალიშვილი და იბერიას მეუღლე ეკა ირემაძე.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გია ყანჩელი:

## ჩემი საყვარელი ფილმი? რა თქმა უნდა, „მიმინო“!

**დაბადების დღე კარგი მიზეზია იმისთვის, რომ ვილაპარაკოთ მაესტროსთან გამართული ერთი შეხვედრის შესახებ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შედგა.**

**...პეტერბურგში ნაადრევი გაზაფხული იდგა. მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული სიმფონიის „სტიქსის“ პრემიერის რეპეტიციის შემდეგ (სოლისტი იყო ბაშმეტი, დირიჟორი კი – გერგიევი), ჩვენ გამოვედით ქუჩაში, ვსაუბრობდით კონცერტზე, კინოზე, ცხოვრებაზე. შემდეგ ერთ-ერთ პატარა კაფეში კომპოზიტორმა შეუკვეთა შემწვარი ხორცი კარტოფილით, მაგიდაზე გაშალა ნოტების რვეული თავისი სამუშაო იარაღებით – საშლელით, სახაზავით, კალმისტრით... ფულის გადახდისას, იგი, როგორც ნამდვილი ქართველი, ოდნავ გაეარშიყა ოფიციანტ ქალს. მე კი მაშინ ასეთი რამ გავიფიქრე: ამ უკვე ხანდაზმულ ადამიანთან შეხვედრისას აუცილებლად შეიგრძნობ ცხოვრების იმ განუმეორებელ კოლორიტს, რომლითაც აღსავსეა საბჭოური ეპოქის თითქმის ყველა განთქმული ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი...**



**– თქვენ ახლა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში სტუმრად თუ ჩამოდიხართ. იქ, ანტვერპენში, არ გენატრებათ ქართული ღვინო?**

– უკვე მრავალი წელია არაფერს აღარ ვსვამ. ისე კი, ყოველთვის კახურ ღვინოს ვარჩევდი ხოლმე. მაგრამ, სხვათა შორის, ანტვერპენში არის ეგრეთ წოდებული „რუსული მაღაზია“, რომელშიც შეიძლება, როგორც „ბორჯომის“, ისე ქართული ღვინის ყიდვაც.



**– სამშობლოსკენ არ მიგიწევთ გული?**

– ვერც კი ვგრძნობ, რომ სამშობლოდან წავედი. მე შემიძლია, ფიზიკურად ვიყო ერთ ადგილზე, მაგრამ სულიერად, ფიქრებით და გულით შინ ვიმყოფებოდე. იცით, რა მიმსუბუქებს ცხოვრებას? მე ამას აღვიქვამ, როგორც მუშაობას შემოქმედებით სახლში. ახლა ჩემთვის ბერლინი და ანტვერპენი არის რაღაც თავისებური შემოქმედებითი სახლი, რომელიც უფრო მოშორებითაა იმისგან, ჩვეულებრივ რომ დავდიოდი ხოლმე.

**– რას აკეთებთ მაშინ, თუ უცებ მოგინდებათ ლობიო – მის გარეშე ხომ წარმოუდგენელია ქართული სამზარეულო?**

– ჩემი ცოლი ჩინებულად ამზადებს ქართულ კერძებს. სანელებლებიც ჩამოგვაქვს საქართველოდან.

**– დიდი ხანია, რაც საქართველო დატოვეთ?**

– 1991 წელს ბერლინში მიმიწვიეს მუსიკის შესაქმნელად. ერთი წლის შემდეგ, უნდა დავბრუნებულიყავი თბილისში, მაგრამ მაშინ იქ დაიწყო სამოქალაქო ომი. უნდა გითხრათ, რომ იმის მიმართ, რაც მაშინ ჩვენთან ხდებოდა, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა. მძულდა ეს ნაციონალიზმი, რომელიც ჩვენში არ არსებობდა, მაგრამ უცებ, იმძლავრა. გადავწყვიტე, ცოტა ხანს გადამედო შინ დაბრუნება, იმ დროს კი, ახალ-ახალი შეკვეთები მივიღე. იმ პერიოდში შევქმენი ერთიორად მეტი ნაწარმოები, ვიდრე სამშობლოში ყოფნის ოცდაათი წლის განმავლობაში. მაგრამ, მაშინ, შემეძლო სამი წელი მემუშავა ერთ ნაწარმოებზე, პარალელურად კი შემექმნა მუსიკა კინოსა და თეატრისთვის.

**– დანელიასთან ისევ მეგობრობთ?**

– ბოლო ფილმი, რომელიც მან გადაიღო ჩემს გამგზავრებამდე, არის „პასპორტი“. შემდეგ მე ჩამოვდიოდი და ერთად ვმუშაობდით მის ფილმებზე. მე დანელიასთვის, შეიძლება ითქვას, ვარ თავისებური მოკრივის „მსხალი“, იგი ჩემზე ვარჯიშობს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

დანელიამ ყოველთვის იცის, თუ როგორი მუსიკა სჭირდება. მაგრამ ამას ხვდება ნელ-ნელა, არაერთი შეხვედრის შემდეგ. საბჭოურ პერიოდში მას შეეძლო ჩაეწერა რამდენიმე სცენარი, სანამ ეძებდა იმას, რაც სჭირდებოდა. ახლა ასეთი შესაძლებლობები აღარ არსებობს. სამაგიეროდ, დღეს მას შეუძლია იმუშაოს შინ სინთეზატორით. მაგრამ ეს ადამიანი არასდროს არ ყრის ფარ-ხმალს მანამდე, სანამ არ მიაღწევს სასურველ შედეგს.

**– საქმე ჩხუბამდე ხომ არ მისულა?**

– მე ხომ ვიცი, თუ რისთვის ვაკეთებ ამას. მიყვარს მისი ყველა ფილმი, განსაკუთრებით კი – „მიმინო“. ჩემი აზრით, დანელიას აქვს რაღაც განსაკუთრებული თვისებები – სულიერი სითბო, სიწმინდე, ლაღი იუმორი.

**– როგორ ახერხებს იგი თავისი გრძნობების გადმოცემას – მან ხომ არ იცის ნოტები?**

– სმენით. მეუბნება ხოლმე: „აიღე ეს ნოტი“. ვიღებ. „ახლა სხვა აიღე“. ისევ ვიღებ. იგი კი ამბობს: „ხომ გითხარი, რომ ეს არ ვარგა – აიღე სხვა“. ასე ვმუშაობთ-ხოლმე.

ხომ გახსოვთ, რა თქვა თავის დროზე მიხეილ გლინკამ: მუსიკას ქმნის ხალხი, ჩვენ კი მხოლოდ არანჟირებას ვაკეთებთო. ჩვენს შემთხვევაშიც ასეა – მუსიკას ქმნის დანელია, მე მხოლოდ მის არანჟირებას ვაკეთებ.

**– რომელ ფილმზე გაწვალდით ყველაზე მეტად?**

– „ქინ-ძა-ძა-ზე“. დანელიამ ჩაწერის დროს მოიტანა ძველი დაჟანგებული კლიტე ასეთივე ჟანგიანი გასაღებით. ჩაწერის დროს იგი ხან ხსნიდა, ხან კეტავდა კლიტეს. შემდეგ კი ყოველივე ეს გადაგვყავდა მელოდიაზე, რომელსაც ვიოლინოზე ასრულებდა სპეციალურად მოწვეული პირი. რეჟისორი აიძულებდა მას ისეთი ბგერების გამოცემას, რომ ხანდახან გაოგნებული ვეკითხებოდი: „მე რისთვისღა დამიძახეთ?“

**– სულ დანელიაზე ვლაპარაკობთ, იქნებ თქვენს შესახებაც გეთქვათ ორიოდე სიტყვით?**

– ჩვენს დუეტში, როგორც წესი, მას უყვარს ხოლმე ჩემს შესახებ ლაპარაკი. არ მინდა ამ ტრადიციის დარღვევა.

**P.S. ვულოცავთ მაესტროს 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ჩვენ თავს კი – ახალ, საოცარ მელოდიებს.**

**ნიკოლოზ ალექსანდროვი,**
**„კომსომოლსკაია პრავდა“,**
**9 აგვისტო.**





# ნაგასაკის დაბომბვიდან 60 წელიწადი გავიდა

**იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში აღინიშნა მეორე მსოფლიო ომის დამლევს ამერიკული ბირთვული ბომბით ქალაქის განადგურების ტრაგიკული 60 წლისთავი.**

ცერემონია დაიწყო ზარის შემოკვრით, რომლის ხმაც გაისმა სწორედ იმ წუთს, როცა 60 წლის წინათ ამავე დროს, კაცობრიობის ისტორიაში მოხდა მეორე ბირთვული დაბომბვა, რომელმაც, სულ ცოტა 70 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა.

ნაგასაკის მშვიდობის პარკში გამართულ ცერემონიას ესწრებოდა 6 ათასამდე ადამიანი, რომელთა შორის იყო იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძიუნიტირო კოიძუმი.

ამის შემდეგ ნაგასაკის ერთ-ერთ ტაძარში აღავლინეს წირვა-ლოცვა ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

იაპონიამ მიმდინარე წელს ამ სამგლოვიარო ცერემონიაზე დასასწრებად პირველად მიიწვია ბირთვულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, მაგრამ მიწვევას გამოეხმაურნენ მხოლოდ რუსეთი, უკრაინა და ჩინეთი.

ამ დღეებში კვლავ ალაპარაკდნენ იმაზე, თუ რისთვის დასჭირდათ ამერიკელებს ჰიროსიმის დაბომბვიდან მხოლოდ სამი დღის გასვლის შემდეგ ჩამოეგდოთ ატომური ბომბი ნაგასაკშიც. ისტორიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ამის გარეშე, იაპონია არ მოახდენდა კაპიტულირებას.

სხვებს კი მიაჩნიათ, რომ ამ დაბომბვამ შეერთებულ შტატებს გაუხსნა ბირთვულ იარაღში პლუტონიუმის გამოყენების გზა. ნაგასაკის მერი დარწმუნებულია, რომ ქალაქი გახდა პოლიგონი ამერიკელთა მომაკვდინებელი იარაღის გამოსაცდელად.

60 წლის წინათ ამერიკულმა B-29 ტიპის თვითმფრინავმა ნაგასაკში ჩამოაგდო ბომბი, რომლის აფეთქების ძალა 21 ტონა ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერების ეკვივალენტური იყო. ჰიროსიმაში ჩამოგდებული ბომბისგან განსხვავებით, ეს ბომბი „მუშაობდა“ პლუტონიუმით, რომელიც გაცილებით უფრო მძლავრია ურანთან შედარებით. მაშინ ნაგასაკის მცხოვრებთა უმრავლესობა ცოცხლად დაიწვა სულ რამდენიმე წამში.

მაგრამ მაინც, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ნაგასაკის ტრაგედია მოექცა ჰიროსიმის ჩრდილში, სადაც, დაახლოებით 140 ათასი კაცი დაიღუპა.

# ბრალად ედება მილიონი დოლარის ქრთამად აღება



**გაეროს შემსყიდველი სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, რუსი დიპლომატი ალექსანდრე იაკოვლევი დააკავეს, მოგვიანებით კი გაათავისუფლეს წინდის თანხის გადახდის შემდეგ. მისი დაკავების მიზეზი გახდა ის, რომ დაუმტკიცეს გაეროს მოიჯარეებისგან ქრთამის მიღების ფაქტები.**

52 წლის იაკოვლევს ბრალად ედება გაეროს 79 მილიონი დოლარის თანხის ტენდერში გამარჯვებული კომპანიებისგან საერთო ანგარიშით მილიონი დოლარი ქრთამის აღება.

დაპატიმრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, იაკოვლევმა თავი ბრალეულად ცნო ეგრეთ წოდებულ „ფულის გათეთრებასა“ და მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამის აღებაში.

როგორც გაეროს გენერალური მდივნის ადმინისტრაციის მეთაურმა მარკ მალოჰ ბრაუნმა ჟურნალისტებს განუცხადა, ნიუ-იორკის სამხრეთი ოლქის პროკურორმა სთხოვა კოფი ანანს, რომ დიპლომატიური ხელშეუვალობა მოეხსნა იაკოვლევისთვის, რაც დაუყოვნებლივ გაკეთდა კიდეც.

იაკოვლევი გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მან წინდის სახით გადაიხადა 400 ათასი დოლარი და დადო ხელწერილი ქალაქიდან გაუსვლელობის შესახებ.

იაკოვლევს ემუქრება 60 წლამდე ვადის პატიმრობა და ჯარიმა 750 ათასი დოლარის ოდენობით.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერჯერობით არანაირი ოფიციალური რეაგირება არ მოუხდენიათ ამ მოვლენებზე.

„იაკოვლევის საქმე“ არ უკავშირდება „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ გაეროს პროგრამის ფარგლებში კორუფციის შესახებ მიმდინარე გამოძიებას, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვის ყოფილი მეთაური პოლ ვოლკერი. მაგრამ სწორედ ამ გამოძიებამ დააყენა მოხელეები იაკოვლევის კვალზე.

პოლ ვოლკერის კომისია იაკოვლევს ადანაშაულებს იმაში, რომ ფრანგ ივ პინტორთან ერთად მან სასამსახურო მდგომარეობა გამოიყენა შვეიცარიის ერთ-ერთი კომპანიისგან ფულის გამოძალვის მიზნით. შვეიცარიელებს ამის სანაცვლოდ გადაეცათ კონფიდენციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეედგინათ განაცხადი, რათა გაემარჯვათ ტენდერში.

გამომძიებლებს არა აქვთ იმის მტკიცებულება, რომ შვეიცარიის კომპანიამ ნამდვილად მისცა ქრთამი გაეროს მოხელეს, მაგრამ დადასტურებულია, რომ იაკოვლევი იღებდა ქრთამებს გაეროს სხვა კონტრაქტორებისგან.

ივნისის შუა რიცხვებში იაკოვლევი გადადგა სამსახურიდან. მიზეზი გახდა ის, რომ იგი დაეხმარა თავის ვაჟს ერთ-ერთ მოიჯარე-კომპანიაში სამუშაოდ მოწყობაში. ამის შემდეგ იაკოვლევის ოფისი დალუქეს.

მასთან ერთად ბრალდებული ივ პინტორი აღნიშნავს, რომ არ გააპროტესტებს გამოძიების შედეგებს.

# ქურდებმა 200-მეტრიანი გვირაბი გათხარეს

**ბოროტგანმზრახველებმა ქალაქ ფორტალეზას ბანკიდან გაიტაცეს 65 მილიონი დოლარი, რაც, შესაძლოა, გახდა ყველაზე დიდი ძარცვა ბრაზილიის ისტორიაში.**

ქურდებმა გათხარეს 200-მეტრიანი გვირაბი, რომელიც სათავეს იღებს ერთ-ერთი მეზობლის სახლიდან.

ამ ქუჩის მცხოვრებლები აღნიშნავდნენ, რომ სახლში 6-10 კაცი მუშაობდა, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თვით შენობა იჯარით იყო აღებული ერთ-ერთი კომპანიის სახელით.

ოპერაცია განხორციელდა უქმე დღეებში, როცა ბანკი არ მუშაობდა, და ორშაბათამდე ფულის გაქრობა ვერ აღმოაჩინეს.

„ყოველივე ეს ძალზე წააგავს იმას, რასაც ხშირად უჩვენებენ ხოლმე კინოფილმებში... ქურდებმა გაიყვანეს გვირაბი ქალაქის ორი უბნის ქვეშ, თანაც, თხრიდნენ მთელი სამი თვის განმავლობაში“, – თქვა გამომძიებელმა ფრანსისკო კუეიროგამ.

„ბანკო ცენტრალის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქურდებმა



გახსნეს ხუთი კონტეინერი, რომლებშიც ინახებოდა 50-რეალიანი ბანკნოტები (22 დოლარი).

გატაცებული ფულის ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით არ დაუდგენიათ. მაგრამ როგორც პოლიცია ვარაუდობს, ეს 150 მილიონ რეალს უნდა აღწევდეს.

თუ პოლიციელთა პროგნოზი დადასტურდება, ეს მოვლენა ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორც ბანკის ყველაზე დიდი ძარცვა.

# აფხაზები პუტინს დამოუკიდებლობის აღიარებას სთხოვენ

**აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეთა საკოორდინაციო საბჭოში შემავალი 15-ზე მეტი არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა – რუსული, სომხური, ბერძნული, ებრაული, პოლონური თემები, აგრეთვე, ყუბანელ კაზაკთა ჯარის შავი ზღვის ოლქის ცალკე განყოფილება – წერილი გაუგზავნეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს და ქალაქ მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს, რომელშიც ისინი ითხოვენ აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარებას.**

„აფხაზეთის რესპუბლიკის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი რუსეთის მოქალაქეები არიან და აფხაზეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, – ხაზგასმულია წერილში. – რუსეთის მოქალაქეობა არ მიუღიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ აანაზღაურონ მოქალაქეობისა და საერთო-სამოქალაქო საზღვარგარეთის პასპორტის გაფორმებისთვის საჭირო ხარჯები“.

აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო აღნიშნავს, რომ „აფხაზეთი არ შედის საქართველოს შემადგენლობაში და მას შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი“. ამ მოსაზრების განმტკიცების მიზნით მოყვანილია 1990 წლის 3 აპრილს მიღებული სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის გამოსვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ“, აგრეთვე, სსრ კავშირში 1991 წლის 17 მარტს და საქართველოში 1991 წლის 31 მარტს



გამართული რეფერენდუმების შედეგები, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს 1923 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მიაჩნიათ: „რუსეთი არის სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე და, ამიტომ, სსრ კავშირის მიერ მიღებული კანონები განუხრელად უნდა სრულდებოდეს. ჩვენ, რუსეთის მოქალაქეებს, გვიკვირს, თუ რატომ გვახსენებს გამუდმებით რუსეთის ხელმძღვანელობა საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ. სხვათა შორის, საქართველოს არავინ არ ჰყოფს.

დაბეჯითებით გთხოვთ, არ მიაკუთვნოთ აფხაზეთი საქართველოს. ეს ჩვენ შეურაცხგვყოფს. დადგა ჩვენი საარსებო საკითხების გადაწყვეტის დრო. თავს დამცირებულად ვგრძნობთ ზოგიერთი რუსი მოხელის მოქმედების გამო მაშინ, როცა ჩვენ მივემგზავრებით საზღვარგარეთ, ანუ რუსეთში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა საზღვარზე. ჩვენს გაოცებას იწვევს, თუ რისთვის სჭირდება რუსეთს საზღვარი თავისივე მოქალაქეებს შორის“.

ამის შემდეგ, საბჭოს წევრები დაბეჯითებით სთხოვენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, შეისწავლოს წამოჭრილი საკითხები და დადებითად გადაწყვიტოს ისინი:

1. აღიაროს აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.
2. გაამარტივოს მინიმუმამდე საზღვრის გადაკვეთის რეჟიმი.
3. რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა შესვლის საკითხი გადაწყვიტოს ასოციირებული ურთიერთობის უფლებით, რადგან, აფხაზეთი 1810 წლიდან რუსეთთანაა.

**საინფორმაციო სააგენტო რეგნუმ.**

# მილსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთი შევსებულია

(პირველი გვერდიდან)

თავის მხრივ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის აღმასრულებელმა დირექტორმა მაიკლ ტაუნსენდმა განაცხადა, რომ უკვე დასრულდა მილის აზერბაიჯანის მონაკვეთის შევსება ნავთობით. როგორც მან თქვა, სათბობმა უკვე „მიაღწია“ აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარს. „საქართველოს მონაკვეთის ნავთობით შევსებას ერთი თვე დასჭირდება“. კასპიის ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი თურქეთის ჯეიჰანის ნავსადგურს, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დატოვებს. მთლიანად, მილსადენში ჩატუმბულია 2 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობი.

შემდეგ, როგორც მოხსენებიდან გახდა ცნობილი, „შაჰდენიზის“ საბადოდან პირველი გაზის საექსპორტო გატანა მსოფლიო ბაზრებზე, მომავალი წლის დამდეგისთვის არის დაგეგმილი. ჯერჯერობით კი, ეს საბადო დამუშავების პირველ ეტაპზეა. პროგნოზის თანახმად, იგი შეიცავს 22,1 ტრილიონ კუბურ ფუტ გაზს და 50 მილიონ ბარელ კონდენსატს. გარდა ამისა, მიმდინარე წლის დამლევისთვის გათვალისწინებულია დასრულდეს სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის მშენებლობა, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პარალელურად გაჰყავდათ. სანგაჩალის ტერმინალის თურქეთ-საქართველოს საზღვართან დამაკავშირებელი ამ მილსადენის სიგრძე 690 კილომეტრია. გარდა ამისა, გრძელდება „აზერი-ჩირაღ-გიუნეშლის“ საბადოს სრულმასშტაბიანი ექსპლუატაცია, რომლიდანაც პირველი ნავთობი მოიპოვეს 1997 წელს. სულ კი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, „შაჰდენიზის“, სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის და „აზერი-ჩირაღ-გიუნეშლის“ პროექტებში გათვალისწინებულია 22 მილიარდი დოლარის დაბანდება. 1997-2004 წლების პერიოდში აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიამ მოიპოვა 277,6 მილიონი ბარელი ნავთობი.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის დამლევისთვის კომპანიაში მუშაობდა 1945 კაცი, რომელთაგან 1404 ეროვნებით აზერბაიჯანელი, თურქი და ქართველია, იქ შრომობს, აგრეთვე, 111 თანამშრომელი, რომლებიც ინგლისიდან არიან ჩამოსული. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს 2004 წელს დაიღუპა აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს მოიჯარე-კომპანიების 6 თანამშრომელი.

**ჯ. ხალილოვი,**
**„ეხო“ (ბაქო).**

# ბოსნიელი სერბი არგენტინაში დააკავეს



**არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში დააკავეს მილან ლუკიჩი, რომელიც ბოსნიის ომის დროს სამხედრო დანაშაულობათა ჩადენაშია ეჭვმიტანილი.**

ლუკიჩი მართლმსაჯულებას ხუთ წელიწადზე მეტ ხანს ემალებოდა. ამჟამად იგი ბუენოს-აირესის საპყრობილეში იმყოფება.

ამ ადამიანს სერბეთშიც ეძებდნენ – იქ იგი დაუსწრებლად გაასამართლეს და მიუსაჯეს 20 წლის პატიმრობა. ასევე სამხედრო დანაშაულობათა ჩადენისთვის.

2003 წელს ბელგრადის სასამართლომ მილან ლუკიჩი და კიდევ სამი პირი ცნო ბრალეულად 16 მშვიდობიანი მუსლიმანი მოქალაქის წამებასა და მკვლელობაში, რომლებიც გაიტაცეს 1992 წელს, როცა ისინი ავტობუსით მიემართებოდნენ სერბეთიდან ბოსნიისკენ.

ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ლუკიჩი მეთაურობდა გასამხედროებულ ჯგუფს, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ყოფილი იუგოსლავიის მოქალაქეების გატაცების, წამებისა და მკვლელობისთვის.

ჰააგის ტრიბუნალის საბრალდებო აქტში ლუკიჩს ბრალად ედება 1992 წელს გასამხედროებული ჯგუფის შექმნა, რომელიც პოლიციასთან და არმიასთან ერთად ახორციელებდა ტერორს ბოსნიის ქალაქ ვიშეგრადის მუსლიმანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

◉ მოგზაურის კვერთხი

# ჩვენებურები

(მეოთხე გვერდიდან)

1980 წლის 5 ივლისს, ბურსაში, თავისი სახლის წინ მოკლეს აჰმედ მელაშვილი და მძიმედ დაჭრეს მისი შვილი იბერია. ოფიციალური ვერსიით, მკვლელობაში ბრალი ედებოდა ფაშისტური ორგანიზაციის „ულქუ იოლუ დერნეის“ ბურსის განყოფილებას, რომელსაც მანამდე 30 კაცი ჰყავდა მოკლული. ეს ის დრო იყო, როცა თურქეთი საშინელმა ანარქიამ მოიცვა, როცა ქვეყანაში ტერორი მძვინვარებდა.

– ჩემი ქმარი ამ დღეს რომ მოსწრებოდა, ამდენი ქართველი მისი შვილის სახლში ერთად რომ ენახა, რაღა მოკლავდა.

თავის საყვარელ სოფელში ჰაირიეში დავკრძალეთ, – თითქმის ჩურჩულებს, ისე ჰყვება ქალბატონი იუქსელი. მის საფლავს აწერია: „აჰმედმა მიწას გართხმული ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ასწია, აგვამაღლა. ჩვენც ავყევით, მაგრამ ვერ გავუტოლდით“.

– მამას და მის მეგობრებს, როდესაც ბალიქესირში სწავლობდნენ, ქართული ანბანის არსებობა არ სცოდნიათ, – ჩაერია საუბარში იბერია, – არადა, ისეთი ძლიერი ყოფილა ქართული წერა-კითხვის სურვილი, რომ ლათინური ანბანის გამოყენებით შეუქმნიათ, როგორც თავად ეგონათ, ქართულისათვის გამოსადეგი ანბანი და ასე იწერდნენ თურმე ქართული ფოლკლორის ნიმუშებს, წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. მამა 21 წლისა ყოფილა, როცა საქართველოდან გადასახლებული კაცისაგან გაუგია, ქართველებს საკუთარი ანბანი გვაქვსო. იმ კაცს უთქვამს, სტამბოლში ქართული ეკლესია არის და იქ, ქართული წერა-კითხვის სწავლა შეიძლებაო.

აჰმედი და მისი მეგობრები მაშინვე წასულან სტამბოლში და იქ, ქართული ეკლესიის მოძღვარს, მამა პავლეს მისთვის ქართული წერა-კითხვა უსწავლებია. აჰმედ მელაშვილი 1944 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მისმა მეგობრებმა სხვადასხვა სპეციალობა აირჩიეს, მაგრამ ერთმანეთთან კავშირი არ გაუწყვეტიათ და ეს კავშირი ქართულის უდიდესი სიყვარულით იყო განმტკიცებული. ისინი მონასტერთან უფრო დაახლოვებულან და ქართულის სწავლა გაუგრძელებიათ. ხშირად იკრიბებოდნენ თურმე ნური ჯინჭარაძესთან და ქართულად საუბრობდნენ, მღეროდნენ და საქართველოში წასვლაზე ოცნებობდნენ. შემდეგ პარიზის ქართველებს დაუკავშირდნენ და მათგან იღებდნენ ქართულ წიგნებს და საქართველოს ამბებსაც იგებდნენ.

– რაც მეტს იგებდა, უფრო მეტის ცოდნა უნდოდა, რაც იცოდა, სხვისთვისაც უნდოდა გაეგებინებინა, – ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა ქალბატონმა იუქსელმა. მაშინ ჩვენ ყველაფერს შიშის კანკალით ვაკეთებდით. დღეს თურქეთი სხვა ქვეყანაა, მის კანონმდებლობაში აღარ არის ის მუხლები, რომლებითაც შეიძლებოდა დასჯილიყო კაცი, თავს თუ ქართველად გამოაცხადებდა. აღარც ქართული წიგნის ქონაა საციხო საქმე. მაშინ კი აჰმედი ბევრ რამეს თავგანწირვის ფასად აკეთებდა. თუნდაც შვილებისთვის ქართული სახელების – იბერიასა და თამარის დარქმევა, გმირობის ტოლფასი იყო.

„მე თურქეთის კონსტიტუციის საწინააღმდეგოს არაფერს ვაკეთებ, მარტო ის მინდა, ახალგაზრდობამ იცოდეს ქართული წერა-კითხვა. არ დაივიწყოს ჩვენი ენა, ახსოვდეს, ვინა ვართ და საიდან მოვდივართო“, – ასე იტყოდა ხოლმე ჩემი ქმარი.

– როცა ბურსაში ვცხოვრობდით, მამას საკუთარი სახელოსნო ჰქონდა, – იგონებს იბერია. ის მუდამ სავსე იყო მისი თურქი, ქართველი, ჩერქეზი და აფხაზი მეგობრებით. იგი „ჩრდილოკავკასიური საზოგადოების“ აქტიური წევრი იყო. მაშინ ქართული საზოგადოებები ჯერ არ არსებობდა. მამა თურქეთში მცხოვრებ კავკასიელებს ძალიან უყვარდათ და დიდ პატივსაც სცემდნენ.

1968 წელს გამოვიდა მამას წიგნი „გურჯისთანი“. ეს წიგნი დიდ ინფორმაციას აწვდის მკითხველს საქართველოს შესახებ.

– თურქეთის ქართველობამ სწორედ ამ წიგნით აღმოაჩინა თავისი დაკარგული „მემლექეთი“, რომლის შესახებ მხოლოდ წინაპართა გადმოცემით თუ იცოდნენ რამე, – ჩაერია საუბარში ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე, – წიგნი გამოსვლისთანავე აიკრძალა, ავტორი დააპატიმრეს, ბრალდება ასეთი იყო: ისლამის საწინააღმდეგო წიგნია, რუსებსა და კომუნისტებს აქებსო, მაგრამ ბრალდება ვერ დაადასტურეს და ორი თვის შემდეგ გამოუშვეს.

ბატონმა აჰმედმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (მაგრამ გამოცემა ვერ მოასწრო), ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ და გამოსცა სათაურით „ქართველი ვაჟკაცი და ჩერქეზი გოგონა „მზაღო“, ეს ნაწარმოები ძალიან კარგად მიიღო მკითხველმა და მას შემდეგ დაბადებულ ჩვენებურ ბიჭებს მასობრივად არქმევდნენ ელგუჯას. შემდეგ იყო მისი რედაქტორობით გამოსული სიმონ ქვარიანის „გიორგი სააკაძე“ და იუსუფ ფაღავას „ჩაუქმრალი კერა“ და, რაც მთავარია, ჟურნალი „ჩვენებურები“. იგი გამოდიოდა გრიფით „კავკასიოლოგიური კრებული“ (ქართველოლოგიურს ვერ დააწერდნენ), პირველი სამი ნომერი სტოკჰოლმში დაიბეჭდა, IV-VIII ნომრები – სტამბოლში. აჰმედის მკვლელობამ ჟურნალის გამოცემა შეწყვიტა.

– თურქეთის ქართველობის ცხოვრების ყველა სფეროს სწვდებოდა აჰმედის ხელი; ვის სამუშაოს შოვნა უნდოდა, ვის – სახლის აშენება, ვის – ცოლის შერთვა (აუცილებლად ქართველის), ვის – სწავლა, ვის – სამართლის პოვნა, და ყველა აჰმედს აკითხავდა. ისიც მზად იყო დასახმარებლად. ამიტომაც „ჩვენებურების“ ილია ჭავჭავაძე შეარქვეს.

– ბევრი რამ დარჩა დაუმთავრებელი, – ბაშვექალეთ არქივში მოძიებული ქართული დოკუმენტების გამოცემას აპირებდა, აღარ დასცალდა და რაც ყველაზე გულსატკენია, – მეუბნება ქალბატონი შუშანა, – ვერ მოესწრო, ვერ ნახა აქ სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდები, როგორ ოცნებობდა „ერთი-ორი ახალგაზრდა მაინც გაგვაზრდევინა თბილისის უნივერსიტეტშიო“, – როგორ გაიხარებდა, რომ მოსწრებოდა იბერიას ცოლს ეკას, რომელიც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

„აჰმედ ოზქანი მთელი სიცოცხლის მანძილზე არცერთი იდეოლოგიის იარაღი არ ყოფილა, მას უნდოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ერთმანეთი სცოდნოდათ, ჰყვარებოდათ და ურთიერთდახმარებით თავიანთი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. მისი მიზანი მშობლიურ საქართველოსთან, მეგობრული ურთიერთობა და თურქეთის ქართველებისათვის აქ მიღწეული კულტურული წარმატებების გაცნობა იყო, – წერდა მასზე თურქეთში გამომავალი ჟურნალი „ჩრდილოეთ კავკასია“.

– მაშინ საქართველოში შიშით წასვლა-მოსვლა იყო, – მეუბნება ქალბატონი იუქსელი, ჩვენი მეგობარი იყო ოთარ გიგინეიშვილი, სწორედ მან დაგვპატიჟა. ჯერ წავედით სოფიაში, იქიდან მოსკოვში და ასე წვალებით ჩამოვედით თბილისში. ზღაპარში მივედით, კიდევ უფრო შეგვიყვარდა იქაურობა.

მეორედ ყარსი-ლენინაკანით ჩავედით. გამოგვეგება გურამ გალოგრე – მაშინ უკვე მთელი საქართველო შემოგვატარეს, ქუთაისშიც ვიყავით, ყაზბეგშიც აგვიყვანეს. ისე მომეწონა, ჭკუა არ დამრჩა, მევინახულე ჩემი ლამაზი ქვეყანა. სულ კი ვფრთხილობდით, მაგრამ მაინც დაგვემართა, რისაც გვეშინოდა.

აჰმედის მერე კიდევ ორჯერ ჩავედით საქართველოში, ახლა კი ძალიან მენატრებიან. ისინი, იქაურები. ჩემს ქმარსა უნდოდა ერთ საზოგადოებაში მოეკრიფა ქართველები, აქაურებს ეშინოდათ, ვერ ამბობდნენ, აჰმედმა თავისი წიგნი უფასოდ დაურიგა ყველას, მან გზა გაკვალა, ახლა ამ ადამიანებზეა საქმე, ვინც დარჩნენ, როგორ იყოჩაღებენ და ქართულ სულს გააღვივებენ აქაურებში.

– სტამბოლის ქართველები დიდმნიშვნელოვანი ძალაა, – გვითხრა იბერიამ, პარტიებშიც უმთავრესი ადგილები ქართველებს უჭირავთ და ხალხიც დიდი ნდობით ეპყრობა მათ.

იბერია მამის კვალს გაჰყვა. მანაც პროფესიად არქიტექტურობა აირჩია, მაგრამ ქართული სიმღერის და ცეკვის სიყვარულმა ინსტრუმენტული ანსამბლის ჩამოყალიბება გადააწყვეტინა. იგი თითქმის ყველა ქართულ ინსტრუმენტზე უკრავს, მას ვაჟიშვილი ბექაც მხარში უდგას.

– მამა თუ მღეროდა-მეთქი, – ვკითხე იბერიას, – ცოტას, მაგრამ პაპაჩემ თევფიქს, განთქმულ ქვითხუროს, რომელსაც ჯამები და მინარეთები უშენებია, შეგირდებად სულ ქართველები ჰყოლია და ხელობის გარდა ქართულ სიმღერებსაც ასწავლიდა თურმე.

თვითონ შესანიშნავად უკრავდა ქართულ საკრავებზე, უამრავი ლექსი და სიმღერა იცოდა. საბოლოოდ თევფიქ უზქანის ბრიგადა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლად ქცეულა და ახლომახლო სოფლებში მათ გარეშე არც ერთი ლხინი არ ტარდებოდა თურმე. ასე გამოდის, პაპაჩემის გზას ვაგრძელებ ახლა, – გაიღიმა იბერიამ და ვიდეო ჩართო.

სცენაზე ქართულ ჩოხებში გამოწყობილი 5 მამაკაცი და ერთი პატარა ბიჭუნა ქართული მუსიკის ცეცხლს ანთებდა. დარბაზი ინგრეოდა ტაშითა და ოვაციებით. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ბექა მელაშვილი ორ სალამურზე ვირტუოზულად „მთაში სალამურს ვაკვნესებს“ უკრავდა.

იბერია მელაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა უკვე დიდი ხანია სახელი გაითქვა, წინ საინტერესო გეგმები აქვთ. კიდევ უფრო მეტი ქართული სიმღერა უნდა შეასრულონ.

სულიკოს სიმღერის დროს კი ვეღარ მოვითმინეთ და ჩვენც ავყევით – საოცარი სანახავები ვიყავით, იმ ღამეს ქართველები, კონსტანტინეპოლის უძველეს უბანში – უსკუდარში, ხმაშეწყობილნი მართლაც გულამოსკვნილი ვსტიროდით სადა ხარ ჩემო სულიკოს.

თითქმის შუაღამე გადასული იყო, წამოსვლას აღარ ვჩქარობდით, მაგრამ ნათიას ძილით დაბინდულმა თვალებმა გვაიძულა და წამოვდექით.

– არ დავკარგოთ, ჩევიხუტოთ ერთმანეთს, – გვეუბნება უკვე ეზოში გამოსული ქალბატონი იუქსელი და დიდხანს გვიხუტებს გულში, – რასაც თქვენ იქ და ჩვენ აქ ვჩიოდით დღეს, რატომ უნდა დარჩეს უთქმელი. ჩემს შვილებს ხშირად ვეუბნები, არ დაგავიწყდეთ, რომ შენიცაა ის მემლექეთი.

იმფრა მომხდარი ვართ, რომე თქუენა ჩუენ გულში დარჩით, ჩუენა თქუენ გულში დავრჩით... ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ერთმანეთის სიყვარული.

**მარადი ანასაშვილი**

**სტამბოლი – უსკუდარი**



უსკუდარი ღამით

მეჩეთი ვალიდე

# საქართველოს საინჟინრო აკადემია

## ა ხ ა ლ ი  შ ე ვ ს ე ბ ა

მიმდინარე წლის 27 მაისს საქართველოს საინჟინრო აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო წევრებად არჩეული არიან:

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II (შიოლაშვილი)** – ბიოენერგოინფორმატიკის განყოფილებაში

**მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი** – ტექნიკისა და ტექნიკურ მეცნიერებათა ისტორიის განყოფილებაში

**გოგუაძე ირაკლი** – სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისა და ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილებაში

**გორდელაძე მაგული** – ბიოენერგოინფორმატიკის განყოფილებაში

**დოლიძე გიზო** – ინფორმატიზაციის, გამოთვლითი ტექნიკისა და მართვის სისტემების განყოფილებაში

**ზონენაშვილი იოსები** – საინჟინრო მექანიკისა და გამოყენებითი მათემატიკის განყოფილებაში

**კიკნაძე ლევანი** – ინფორმატიზაციის, გამოთვლითი ტექნიკის და მართვის სისტემების განყოფილებაში

**სალუქვაძე ბორისი** – სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისა და ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილებაში

**შავგულიძე ანზორი** – მანქანათმშენებლობისა და მექანიკის განყოფილებაში

**შარიქაძე ჯონდო** – საინჟინრო მექანიკისა და გამოყენებითი მათემატიკის განყოფილებაში

**ჩაგუნავა რაული** – მეტალურგიისა და ქიმიური რექნოლოგიის განყოფილებაში

**ჩიმაკაძე გურამი** – მანქანათმშენებლობისა და მექანიკის განყოფილებაში

**ჩხეიძე ზურაბი** – მეტალურგიისა და ქიმიური რექნოლოგიის განყოფილებაში

**უცხოელ წევრებად არჩეული არიან:**

**დავიდოვი იური** – რუსეთი
**მეგრელიშვილი ისაკი** – გერმანია
**ფროლოვი კონსტანტინე** – რუსეთი
**ჰოუკროტი ჯეიმსი** – აშშ

**ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) და წევრ-კორესპონდენტებად არჩეული არიან:**

ენერგეტიკის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**ელიაშვილი დავითი**
**ნაჭყებია შალვა**
**სოლომონია ოთარი**

წევრ-კორესპონდენტები

**ზუბიტაშვილი დავითი**
**მაგრაქველიძე თენგიზი**
**ჭუნაშვილი ბადური**
**ჯამარჯაშვილი ვაჟა**

მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**შარაშენიძე ჯემალი**
**ჩხარტიშვილი ირაკლი**
**წივწივაძე თენგიზი**
**ჭყონია თენგიზი**

წევრ-კორესპონდენტები

**ბარბაქაძე ჯონდო**
**ვაშაკიძე ნიკოლოზი**
**თავაძე ლონდა**
**ლომთათიძე გურამი**
**მამალაძე რამაზი**
**ნაკაიძე შოთა**
**ყურაშვილი სპარტაკი**
**ჩახუნაშვილი თემური**

მანქანათმშენებლობისა და მექანიკის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**ვაშაკიძე ამირანი**
**ზვიადაური ვიქტორი**
**სულამანიძე არტური**

წევრ-კორესპონდენტები

**მეიშვილი იური**
**მენთეშაშვილი ვაჟა**
**ცირეკიძე გიორგი**

მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**ბერიძე გივი**
**თევზაძე ნანული**
**თურქია ბორისი**
**იმედაძე როინი**
**კაპანაძე ზაური**
**მარჯანიშვილი მიხეილი**
**მეძმარიაშვილი ლერი**
**სულაბერიძე ოთარი**

წევრ-კორესპონდენტები

**ესაიაშვილი ჯემალი**
**კიზირია ემზარი**
**მახვილაძე რევაზი**
**მინდიაშვილი არჩილი**
**მუხაძე ლია**
**მუხაძე თეიმურაზი**
**ნიჟარაძე გერასიმე**
**როსტომაშვილი ირაკლი**
**ჩარკვიანი თეიმურაზი**

სატრანსპორტო სისტემების განყოფილებაში

ნამდვილი წევრი

**პატარაია დავითი**

წევრ-კორესპონდენტები

**აფხაიძე ავთანდილი**
**ბერიძე ნოდარი**
**ორჯონიკიძე დავითი**
**ქვანია ვახში**

ინფორმატიზაციის, გამოთვლითი ტექნიკის და მართვის სისტემების განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**ანანიაშვილი გულაბერი**
**გაბუნია დავითი**
**გასიტაშვილი ზურაბი**
**გიგინეიშვილი ლერი**
**ვერულავა იუზა**
**მიქაძე ილია**
**ძაგანია თამაზი**
**ჯიბლაძე ნოდარი**

წევრ-კორესპონდენტები

**ედიბერიძე ალექსანდრე**
**ვაჩიბერიძე გენო**
**იმნაიშვილი ლევანი**
**სალუქვაძე გურამი**
**ფადიურაშვილი ვლადიმერი**

აგროსაინჟინრო და მსუბუქი მრეწველობის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**იტრიაშვილი ლევანი**
**კოკაია გედევანი**
**ლეფსვერიძე შალვა**
**მეგრელიძე თამაზი**
**მუჯირი ლევანი**
**ქველაძე კარლო**
**შხვაცაბაია ზურაბი**

წევრ-კორესპონდენტები

**ბედია ომარი**
**გოლეთიანი გივი**
**დვალი ირაკლი**
**რუხაძე გურამი**
**ტყემალაძე ზურაბი**
**ფხაკაძე ნიაზი**
**ჯაფარიძე ზურაბი**

გეოლოგიისა და სამთო საქმის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**არევაძე დავითი**
**ბერძენიშვილი დავითი**
**ბუცხრიკიძე გარბერტი**
**სულაძე ასლანი**
**ქუცნაშვილი ომარი**
**ჩხეიძე დევი**

წევრ-კორესპონდენტები

**ბეჟანიშვილი ალექსანდრე**
**იმაღალაშვილი გიორგი**
**ტალახაძე დემური**
**ფოფორაძე ნოდარი**
**ცინცაძე ივლიანე**
**წერეთელი ემილი**

ჰიდროტექნიკისა და კომუნალური მეურნეობის საინჟინრო პრობლემების განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**გობეჩია გიორგი**
**კლიმიაშვილი ლევანი**
**კოდუა ნოდარი**
**ყუბანეიშვილი არჩილი**
**ჯაფარიძე ვიქტორი**

წევრ-კორესპონდენტები

**ახალკაცი შალვა**
**გოგიჩაიშვილი ლევანი**
**ჩხენკელი ბაკური**
**ჭკუასელი ნიკოლოზი**
**ჯერენაშვილი გიორგი**

საინჟინრო ეკონომიკის და ეკოლოგიის განყოფილებაში

ნამდვილი წევრი

**ზაკუტაშვილი მზია**

წევრ-კორესპონდენტები

**გიორგაძე პაატა**
**თურნავა ნათია**
**შუბლაძე ვაჟა**
**ცეცხლაძე თენგიზი**

ბიოენერგოინფორმატიკის განყოფილებაში

ნამდვილი წევრი

**ბააზოვი ნათანი**

წევრ-კორესპონდენტები

**ბურდილაძე იური (გრიგოლი)**
**ბურჯანაძე ჯანო**
**ხვედელიძე მორისი**
**ხოშტარია სიმონი**

ბიოინჟინერიის განყოფილებაში

ნამდვილი წევრი

**კალანდარიშვილი ლეილა**

ტექნიკისა და ტექნიკურ მეცნიერებათა ისტორიის განყოფილებაში

ნამდვილი წევრი

**ყიფიანი გელა**

წევრ-კორესპონდენტი

**ხომერიკი გურამი**

სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**თავაძე გიორგი**
**თორდია პანტიკო (ვაჟა)**

წევრ-კორესპონდენტები

**გოგუაძე გოჩა**
**იაკობიძე ნიკოლოზი**
**სესკურია ზურაბი**
**ხვადაგიანი ავთანდილი**

სტრუქტურული მთლიანობის მონიტორინგისა და ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**დუმბაძე აკაკი**
**წიქარიშვილი მალხაზი**

წევრ-კორესპონდენტები

**ბალამწარაშვილი ზაური**
**ზამბახიძე ლერი**
**კირცხალია იოსები**
**ლაღუნდარიძე გიორგი**
**ჩაკვეტაძე ოთარი**
**წულაია ჰამლეტი**
**ჯინჭარაძე კობა**

საინჟინრო მექანიკისა და გამოყენებითი მათემატიკის განყოფილებაში

ნამდვილი წევრები

**გორგიძე დავითი**
**გორდეზიანი დავითი**
**ვაშაყმაძე თამაზი**
**ჯაიანი გიორგი**

წევრ-კორესპონდენტები

**ბუქსიანიძე ამირანი**
**ლაშხი ალექსანდრე**
**მენაბდიშვილი პაპუნა**
**სამხარაძე ზაალი**

ქუთაისის რეგიონულ ცენტრში

ნამდვილი წევრები

**სილაგაძე მარია** – აგროსაინჟინრო და მსუბუქი მრეწველობის განყოფილებაში

**ცხადაძე ოთარი** – აგროსაინჟინრო და მსუბუქი მრეწველობის განყოფილებაში

წევრ-კორესპონდენტი

**ხვადაგიანი ამირანი** – მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში

რუსთავის რეგიონულ ცენტრში

ნამდვილი წევრები

**რურუა ანდრო** – მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში

**ცხელიშვილი ჯუდუ** – მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში

ბათუმის რეგიონულ ცენტრში

ნამდვილი წევრები

**ონიაშვილი გიორგი** – სამხედრო-სამეცნიერო განყოფილებაში

**ჩხეიძე ნოდარი** – ჰიდროტექნიკისა და კომუნალური მეურნეობის საინჟინრო პრობლემების განყოფილებაში

**ტენდერში გამარჯვებული**

ქ. ბორჯომის გამგეობა აქვეყნებს განცხადებას იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წლის 18 ივნისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ: „ქალაქის ცენტრალური ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დასუფთავებისა და ანახვეტების გატანის მომსახურების შესყიდვაზე“ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ბორჯომის კეთილმოწყობა“.

ბ. ფოფხაძე, ქ. ბორჯომის გამგებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„ალფორდ ენტერპრაისი“**, რომელიც დაფუძნებულია 2004 წლის 21 ივნისს, განიცდის ლიკვიდაციას.

**დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, დაგვირეკოთ – 899 75-58-15.**

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !**

მიმდინარეობს შპს **„სას ინთერნეშნლ ლეგალ კონსალთინგის“ – „Sas international Legal Consulting LLC“** ლიკვიდაცია. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, კრწანისის ქ. №16.**

**ტელ: 899 70-79-78.**

ფესტივალი

# მშვიდობა თქვენდა! — გვეუბნება გერმანელი სიმე


უვე ბერკემერი

**ხვალიდან ბათუმი კვლავ საფესტივალო რიტმით იცხოვრებს. ჯერ კიდევ არ მინელებულა ამ ქალაქში ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალის „ხელოვნების ზეიმის“ ექო, რომ ახალი მუსიკალური ფესტივალი იწყებს სიცოცხლეს. „მშვიდობა თქვენდა!“ — ასე ჩაიფიქრა იგი ცნობილმა გერმანელმა დირიჟორმა, კომპოზიტორმა და პიანისტმა უვე ბერკემერმა ამ ერთი წლის წინათ და აი, ხორცი შეასხა კიდეც. საამისოდ მან ჩამოაყალიბა ახალი „კავკასიის კამერული ორკესტრი“, რომლის პრემიერაც სწორედ ბათუმის ფესტივალზე გაიმართება. თავად ფესტივალს კი ქალბატონი სანდრა რულოვსი-სააკაშვილი მფარველობს.**

უვე ბერკემერს ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა კარგად იცნობს საკონცერტო გამოსვლებით. გარდა ამისა, იგი საქართველოს სიძეა, მისი მეუღლე ბელა მახარაძე სახელმწიფო კამერული ორკესტრის ყოფილი მევიოლინეა, სწორედ აქ გაიცნო იგი უვე ბერკემერმა.

გერმანელ მუსიკოსს ადრეულ ასაკში დაუწყია წარმატებული საკონცერტო გამოსვლები დირიჟორისა და პიანისტის ამპლუაში. როგორც დირიჟორს, მას ხშირად იწვევენ სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალებში. თავადაც ორი ფესტივალის დამაარსებელია გერმანიაში. ქ. მაინცის უნივერსიტეტის პროფესორი საშემსრულებლო მოღვაწეობას ნაყოფიერ საკომპოზიტორო მოღვაწეობას უთავსებს. იგი სხვადასხვა ჟანრის (სიმფონიური, კამერული, საგუნდო) მრავალი ნაწარმოების ავტორია. ჩაწერილი აქვს რამდენიმე CD.

ბატონი უვე ლიანა ისაკაძის მოწვევით მონაწილეობდა ბორჯომის პირველ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც მან ქართულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებიც შეასრულა.


ფესტივალის მონაწილე, მომღერალი ლიზა ბაგრატიონი

და აი, გერმანელი მუსიკოსი თავად არის ბათუმის ფესტივალის დამაარსებელი. ახალი ორკესტრის წევრები მან მოსკოვში, ერევანსა და თბილისში საკონკურსო შერჩევის შედეგად შეარჩია. ასე მოიყარეს ორკესტრში ქართველების გარდა სომხებმა და დაღესტნელებმა, ამან განსაზღვრა მისი რეპერტუარიც.

ბათუმის ფესტივალის ოთხი დღე აჭარის მოსახლეობას და მის სტუმრებს მრავალფეროვან პროგრამას ჰპირდება. 11 აგვისტოს, ფესტივალის გახსნის დღეს, დრამატული თეატრის შენობაში ორკესტრი შეასრულებს ვივალდის „წელიწადის დროებს“ და ჩაიკოვსკის სერენადას სიმებიანი ორკესტრისათვის. ამ საღამოს სოლისტი იქნება ცნობილი ქართველი მევიოლინე მარინე იაშვილი.

მეორე საღამოს კონცერტი ჩაფიქრებულია ბავშვებისთვის. მთხრობელი — მსახიობი ნინო ბურდული წაიკითხავს ხალხურ ზღაპარს „ილანკულას“, ამ ზღაპრის თემაზე უვე ბერკემერმა შექმნა მუსიკა, რომელსაც ორკესტრთან ერთად თავად ააჟღერებს ფორტეპიანოზე.

ამავე დღეს, ღამით, ბათუმის ხელოვნების მუზეუმში გაიმართება კონცერტი სახელწოდებით „გვიანი ღამის კავკასია“. კავკასიის ტრადიციული სიმღერებით აუდიტორიის წინაშე წარსდგება გოგონათა ვოკალური ანსამბლი „ლარგო“.

13 აგვისტოს უნივერსიტეტი უმასპინძლებს კონცერტს „მშვიდობისთვის“, სადაც აჟღერდება მუსიკა და ლექსები კავკასიის ომებში დაღუპულთა მოსახსენიებლად. ამჯერად მთხრობელი იქნება მსახიობი მურმან ჯინორია, სოლოს ალტზე შეასრულებს ვაჩე ჰოვეიანი. შესრულდება ბენჯამინ ბრიტენის, პოლ ჰინდემიტისა და პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოებები. ღამით ხელოვნების მუზეუმში კვლავ ანსამბლი „ლარგო“ იხმიანებს.

კვირა, 14 აგვისტო ფესტივალის დახურვის დღეა. კავკასიის კამერულ ორკესტრთან ერთად დასკვნითი კონცერტის მონაწილენი იქნებიან ლიზა ბაგრატიონი, აჩიკო ნიჟარაძე, ანსამბლები „ლარგო“ და „ბათუმი“. შესრულდება კავკასიის ლასიკური მუსიკის ნიმუშები — აზერბაიჯანული, სომხური და ქართული ტრადიციული და თანამედროვე სიმღერები, მათ შორის ს. ცინცაძის, ა. არუტუნიანის, ფ. ამიროვის, ვ. აზარაშვილის სიმღერები.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

ფეხბურთი

# ბორჯომელებს „ბორჯომი“ ენატრებათ

**„წელიწადზე მეტია, არ გვინახავს: რეგიონალლიგიდან უმაღლეს ეშელონში ისე დაწინაურდა, გუნდისთვის თვალი არ მოგვიკრავს“, — შემომჩივლა ამას წინათ ერთმა ბორჯომელმა ნაცნობმა. რატომ, რა ხდება-მეთქი, ვკითხე. ახალ სტადიონს აშენებენ და „ბორჯომი“ ხან გორში თამაშობს და ხან — თბილისში, ჩვენ კი იმდენი ფული არა გვაქვს, გუნდს სხვადასხვა ქალაქში ვსდიოთო.**

**დავინტერესდი, მართლაც, რა ხდება-მეთქი ბორჯომში და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შემდეგ „ბორჯომის“ პრეზიდენტ დავით გელაშვილს ვესაუბრე.**

— გუნდში შარშან იანვარს მივედი. მაშინ „თორი“ რეგიონალლიგაში თამაშობდა. ბიჭებს ვუთხარი, უნდა გარდავიქმნათ და სახელიც შევიცვალოთ-მეთქი. დამთანხმდნენ. ეტყობა, ნათლობამაც იმოქმედა. გუნდის ფერიცვალებამ პირველ ლიგაში აღვაგზევა. იქაც მონდომებით ვითამაშეთ. მთელი სეზონის განმავლობაში ვლიდერობდით და მხოლოდ ბოლო ტურში „ამერთან“ მარცხმა პირველობა დაგვაკარგვინა. ეტყობა, იმანაც მოგვადუნა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე გავინაღდეთ უმაღლესი ლიგის საგზური.

**— გავიგე, საკუთარი სტადიონი არ გქონიათ...**

— პირველ ლიგაში გადასვლის შემდეგ ამბიციები გაგვეზარდა. არადა, უწინდელი სტადიონი ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა. ბორჯომის ყოფილი გამგებელი ვანო გელაშვილი და მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი დაგვიდგნენ გვერდით. დაიწყო ძველი სარბიელის რეკონსტრუქცია. ფაქტობრივად, უეფას სტანდარტების შესაბამისი ახალი სტადიონის მშენებლობა გამოგვდის. ბოლო თაობის ხელოვნური საფარი ექნება, როგორც ამბობენ, ლუჟნიკებისაზე უკეთესი ხარისხის. სამი მხრიდან ტრიბუნები აიგება ინდივიდუალური სკამებით 3600 მაყურებელზე. ერთი ტრიბუნის მშენებლობა უკვე დამთავრებულია და ერთ თვეში 1800 ინდივიდუალურ პლასტმასის სკამს დაამონტაჟებენ, საფარიც მალე დაიგება. ჩვენი ამჟამინდელი გამგებელი ბატონი გია ტალახაძე ძალიან არის მოწადინებული — ყველაფერს აკეთებს, რათა შეუძლებელიც კი შეძლოს. დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ 17 სექტემბერს „ზესტაფონს“, ალბათ, შინ ვუმასპინძლებთ. ეს მართლაც ზეიმი იქნება, რადგან ბორჯომელებს „ბორჯომი“ და საკუთარი ფეხბურთი მოენატრათ. წელიწადზე მეტია, ჩვენც გავწამდით. პირველ ლიგაში თამაშისას ხაშურსა და აწყურში ვვარჯიშობდით, საშინაო მატჩებს კი გორში ვმართავდით. ახლა დიღომში გავდივართ წვრთნას, „საკუთარ კედლებად“ კი „ოლიმპის“ სტადიონს ვიყენებთ. ამ წოწიალში ძვირფას დროს ვკარგავთ და სახსრებიც უმიზნოდ გვეფლანგება. კიდევ კარგი, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი რაიონის გამგეობას და ყველა იმ ადამიანს და ორგანიზაციას, ვინც გვერდით გვიდგას. განსაკუთრებით ჩვენი წლევანდელი გენერალური სპონსორი „მინისა და მინერალური წყლების კომპანია“ (პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე) მინდა გამოვყო.

**— ეტყობა, დიდი მიზნებიც გაქვთ დასახული?**

— საპრიზო ადგილებზე გასვლა და ევროტურნირების ერთ-ერთი საგზურის მოპოვება დავგეგმეთ. ამიტომაც სეზონის დასაწყისში გუნდის გაძლიერებაზეც ვიზრუნეთ: შევიმატეთ რამდენიმე ფეხბურთელი ქუთაისის „ტორპედოდან“, თბილისის „დინამოდან“ და „თბილისიდან“. ორკვირიანი შეკრება გვქონდა ჯერ თბილისში, მერე — ბათუმში.

**— ეროვნული ჩემპიონატის განვლილმა ორმა ტურმა რა გიჩვენათ?**

— მეორე ტურში „ოლიმპზე“ ფოთის „კოლხეთს“ ვუმასპინძლეთ და ბურნაძის გოლით 1:0 მოვუგეთ. ანგარიშში სხვაობა უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენმა თავდამსხმელებმა ვერ ივარგეს. ისედაც, 2 ფორვარდი — დათო გოჩაშვილი და რეზო ჯიქია ტრავმირებული გვყავს და, ამდენად, გუნდის შემტევ პოტენციალზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. აი, ბათუმში გამართულ პირველ მატჩს კი ნუ გამახსენებთ. არბიტრმა დოგრაშვილმა ჩვენს კარში თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩათვალა, მეორე ტაიმში ასპროცენტიანი პენალტი არ მოგვცა. ვიდეოჩანაწერმა ჩვენი სიმართლე დაადასტურა, ამიტომაც დოგრაშვილს ერთი თვით კი აუკრძალეს მსაჯობა, მაგრამ ჩვენ რა? თუმცა, არაფერს ვამბობთ, სხვებისთვის მაინც თუ იქნება გაკვეთილი.

**— საიმედო ცვლის მოსამზადებლად თუ ზრუნავთ?**

— მეორე რეგიონალლიგაში გვყავს გუნდი, რომელიც მხოლოდ ბორჯომელი ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. ისინიც აწყურში ვარჯიშობენ და ხაშურში მართავენ საშინაო მატჩებს. ალბათ, მალე მათაც ეშველებათ.

საერთოდაც, „ბორჯომის“ უმაღლეს ლიგაში გადასვლამ რაიონში ფეხბურთის ბუმი გამოიწვია. უამრავი მოზარდი მოაწყდა ფეხბურთის სექციებს. სამწუხაროდ, ბაზების უქონლობა გვაწუხებს, თუმცა მდგომარეობა თანდათან აქაც სწორდება. სოფელ ზანავსა და ყვიბისში მალე გვექნება კარგი სტადიონები ტრიბუნებითურთ. მე-6 საშუალო სკოლაში კეთილმოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინიფეხბურთის მოედანი. ქვეყნის პრეზიდენტის პროგრამით, ბორჯომშიც კეთდება მარტივი ტიპის კომპლექსური მოედანი. ამას წინათ ბორჯომში ყოფნისას ბატონ მიხეილ სააკაშვილს ქალაქის ერთი უყურადღებოდ მიტოვებული უბანი მოეწონა და აქ სპორტული კომპლექსის აშენება შეიძლება, ბრძანა. რადგანაც ის ადგილი პრეზიდენტის ხელდასმულია, დარწმუნებული ვარ, კომპლექსის აშენებას წინ ვერაფერი დაუდგება. აუცილებლად უნდა მოვამრავლოთ სპორტული ბაზები მთელ საქართველოში, მათ შორის — ბორჯომსა და ბაკურიანში. ჯანსაღი ახალგაზრდობა უნდა აღვზარდოთ და, რაც მთავარია, 2012 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველებმა სტუმრად ჩამოსულ უცხოელ ექსპერტებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ბაზებისა და მასზე მოვარჯიშეთა სიმრავლით უნდა მოვაწონოთ თავი.

რაც შეეხება „ბორჯომს“, გჯეროდეთ, რომ ლამაზი თამაშით იგი თავგადაკლულ ქომაგებს ფეხბურთის წყურვილს მოუკლავს.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია.**


**სურათზე: „ბორჯომი“ ფოთის „კოლხეთთან“ თამაშის წინ.**

კონტრაბანდა

# თვითმარქვია „იმპერატორი“

**მიუხედავად კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საგრძნობი ინტენსიფიკაციისა, რაც, უწინარესად, ქვეყანაში საქონლის არალეგალურად მასობრივი შემოდინების არხების გადაკეტვასა და უაქციზო პროდუქციის შემომტანთა მიმართ გადამჭრელი ზომების მიღებაში გამოიხატება, მავანნი მაინც ცდილობენ უცხოური ნაწარმის უკანონოდ შემოტანას, რის შესახებ ცნობებს რეგულარულად გვაწვდის ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.**

## თეთრეული — იაფად

**ვალეს საბაჟო-გამტარი პუნქტის გავლით თურქეთიდან საქართველოში დიდი ოდენობით თეთრეული შემოიტანა მაია თავართქილაძემ, რომელმაც საბაჟო დოკუმენტებში მიუთითა, რომ საქონელი მეორადი მოხმარებისა იყო და განბაჟებისას მხოლოდ 158 ლარი გადაიხადა.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მ. თავართქილაძე ტვირთიანად დააკავეს. შემოწმების პროცესში გაირკვა, რომ აღნიშნული საქონელი 200 კილოგრამს იწონის და პირველადი მოხმარებისაა. მიმდინარეობს გამოძიება, ტვირთს, ღირებულების დასადგენად, ექსპერტიზა უტარდება, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## არასწორი „არჩევანი“

**სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს მუშაკებმა ასევე დააკავეს „მერსედესის“ მარკის მიკროავტობუსი, რომლითაც თბილისიდან ახალქალაქში 3750 ბოთლი არასწორად მარკირებული არაყი „იმპერატორი“ გადაჰქონდათ.** ფინანსურ პოლიციას საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ ჩამორთმეული არაყი ჯანმრთელობისთვის საშიშია, ამიტომ მას ექსპერტიზა უტარდება. აღნიშნული მიკროავტობუსი შპს „არჩევანი 2004“-ის საკუთრებაა, ხოლო მისი მძღოლი დავით მაისურაძე — ამ ფირმის თანამშრომელი. სისხლის სამართლის საქმე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის უაქციზო გადაზიდვის მუხლითაა აღძრული, თუმცა ფინანსურ პოლიციაში არ გამორიცხავენ, რომ გამოძიების პროცესში მას სხვა მუხლებიც დაემატოს.

## ავტონაწილები... სამალავში

**რუსეთის ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდიდან საქართველოში პაატა ჭელიშვილმა კონტრაბანდული გზით დიდი ოდენობით ავტონაწილები გადმოიტანა.** „მერსედესის“ ტიპის ავტობუსში პ. ჭელიშვილს სპეციალური სამალავი ჰქონდა გაკეთებული, სადაც კონტრაბანდა იყო გადამალული. სწორედ ამის გამო იყო, რომ ფოთის მებაჟეებმა კონტრაბანდული ტვირთი ვერ აღმოაჩინეს.

პაატა ჭელიშვილი იმერეთში ფინანსურმა პოლიციამ გააჩერა და ჩხრეკის შედეგად, კონტრაბანდული ავტონაწილებიც ამოიღო.

## რას არ ნახავ ბოსტნეულში!

**ქვემო ქართლის სამმართველომ, გარდაბნის რკინიგზის სადგურში შესულ ელმავალში კონტრაბანდული ტანსაცმელი აღმოაჩინა.** აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი სადგურიდან რკინიგზით გადმოზიდულ ტვირთს რამდენიმე მეპატრონე ჰყავს და მათი ვინაობა დგინდება. წინასწარი ინფორმაციით, ტანსაცმელი 70-80 ათასი ლარისაა. ტვირთი სპეციალურად მოწყობილ სამალავებში ინახებოდა, რომელიც... ბოსტნეულით იყო შენიღბული. „საბაჟო წესის დარღვევის“ მუხლით დაწყებულია საქმის გამოძიება.



## მანქანებსაც კი უპატრონოდ ტოვებენ

**რამდენიმე პირი დააკავეს ოპერატიული სამმართველოს შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებსაც ცხინვალის რეგიონის უკონტროლო ტერიტორიიდან უაქციზო სიგარეტი გადმოჰქონდათ.** ერთი დღის მანძილზე ჩასაფრებისა და ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია უკანონოდ გადმოტანილი 20600 კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი.

ამ ფაქტების გამო ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა საქართველოს მოქალაქეები თამაზ კვირიკაშვილი, ზვიად ბანცაძე, ბესიკ გლახოშვილი, შუშანა ბერაძე, გ. იგაზარიანი, ნუგზარ გიკაშვილი, აკაკი ყვავილაშვილი, აფინა გუსეინოვა, ასმათ ბარბაქაძე, იმედა ხარჩილავა. ამჟამად რამდენიმე მათგანის დაპატიმრების საკითხი იხილება.

ასევე შიდა ქართლის სამმართველომ სოფელ ფხვენისთან ჩატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოაჩინა მიტოვებული „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანა, ე.წ. ოსეთის რესპუბლიკის ნომრებით, რომელიც უაქციზო სიგარეტებით იყო სავსე და სავარაუდოდ, საქართველოს მხრიდან გადამზიდავებს ელოდა. ამ ოსურნომრებიანი ავტომანქანიდან ამოღებულია 10 ათასი კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი.

— „მსგავსი რეიდები და შემოწმება ყოველდღიურად გაგრძელდება. არ დავინდობთ არც ერთ დამნაშავეს მანამ, სანამ ამ რეგიონიდან უაქციზო სიგარეტის გადმოტანა საბოლოოდ არ შეწყდება“, — განაცხადა ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს უფროსმა ზურაბ არსოშვილმა.

## სიგარეტი... ხორბალში

**შიდა ქართლის სოფელ დირბთან ფინანსური პოლიციის მუშაკებმა „უაზის“ ტიპის ხორბლით დატვირთული მანქანა ერთ-ერთ შემოვლით გზაზე რომ გააჩერეს, ჩხრეკისას... მარცვლეულის ტომრებით შენიღბული დიდი ოდენობით უცხოური წარმოების სიგარეტი აღმოაჩინეს.** ავტომანქანის მძღოლის გივი ლომსაძის განცხადებით, იგი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ხორბალი გადაჰქონდა. ტვირთის მეპატრონე ირაკლი პაპუაშვილი კი ფინანსურმა პოლიციამ დააკავა და სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

## ხახვია თუ მაკარონი?

**ხელვაჩაურის რაიონში ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა სამი „მერსედესის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა მაშინ დააკავეს, როცა მათი მძღოლები, თურქეთის მოქალაქეები, ზაურ შარაშიძის კუთვნილ საწყობში კონტრაბანდული წესით შემოტანილ მაკარონს აწყობდნენ.** წინასწარი მონაცემებით, თითოეულ ავტომანქანაში დაახლოებით 20-22 ტონა თურქული წარმოების მაკარონია. მძღოლების მიერ წარმოდგენილ საბუთებში ავტომანქანები... ხახვით უნდა ყოფილიყო დატვირთული. სამივე „მერსედესმა“ სარფის საბაჟო-გამტარი პუნქტი ტვირთის განუბაჟებლად გამოიარა. მიმდინარეობს გამოძიება.

**ოთარ ტურაბელიძე**

კალათბურთი

## საგზურს დავემშვიდობეთ



**კადეტ კალათბურთელთა ევროპის პირველობის** B **ჯგუფში ჩვენთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა. საკვალიფიკაციო ტურნირის ორ ეტაპზე 6-დან 5 შეხვედრა მოვიგეთ და ნახევარფინალში გავედით.** აქ საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო გერმანიის გუნდი, რომელიც გადაულახავი სიმაღლე აღმოჩნდა. გერმანელებმა მოიგეს ეს შეხვედრა 79:64 და საგაისოდ A ჯგუფის საგზური მოიპოვეს პორტუგალიელების მსგავსად, რომლებმაც მეორე ნახევარფინალურ მატჩში ბოსნიელებს სძლიეს 66:59. პირველი ადგილისთვის ერთმანეთს გერმანია და პორტუგალია შეხვდებიან, მესამე ადგილისთვის საქართველო და ბოსნია ითამაშებენ.

## მეორე ცდა — შედეგიანი

**ბორმიოში (იტალია) საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მეორე ამხანაგური მატჩი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის გუნდთან გამართა. დაძაბული ორთაბრძოლა ჩვენებმა 54:53 მოიგეს.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები პირველ ამხანაგურ მატჩში იტალიელებთან 48:112 დამარცხდა.

სპორტულ ორბიტაზე

## დაძაბულ პაექრობაში



**ჯერ კიდევ ოსლოში, მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის „ოქროს ლიგის“ მილიონიანი ჯეკ-პოტის გათამაშების მესამე ეტაპზე დააღალატა ფეხმა რუსეთელი სიგრძეზე მხტომელი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ტატიანა ლებედევა. თუმცა იქ მაინც გაიმარჯვა.** მაგრამ ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატამდე ტრავმა ვერ მოიშუშა და ამიტომაც ფინეთში სტარტზე აღარ გამოსულა, არადა, უეჭველად უფრო დაძაბულს გახდიდა სიგრძეზე სამმაგ ხტომაში ისედაც უკომპრომისო ბრძოლას. აქ ხომ თავი მოიყარეს სპორტის ამ სახეობის ნამდვილმა „ვარსკვლავებმა“, სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო ნახტომის — 14,98 მეტრი — ავტორმა ალჟირელმა ბაიე რახულიმ, იამაიკელმა ტრესია სმიტმა, სუდანელმა იამილე ალდამმა, ბერძენმა ქრისტოფპია დევეტციმ, რუსეთელმა ანა პიატიხმა და სხვ. მათ რატომღაც ოლიმპიური ჩემპიონი ფრანსუაზ მბანგო აკლდათ.



სიტუაცია თავიდანვე დაიძაბა. პირველსავე ცდაზე ალდამი 14,72 მეტრზე „გაფრინდა“. მეორე ეტაპზე კი ანა პიატიხმა სამი სანტიმეტრით „გადაუჯოკრა“ — 14,75 და წინ გაიჭრა. თუმცა ბრძოლა თურმე ახლა იწყებოდა. თავდაპირველად ანას დაწევა ვერავინ შეძლო, თითქმის 11 სანტიმეტრით ჩამორჩებოდნენ მას. მესამე ცდაზე ტრესია სმიტმა ექიმებს მიმართა და ფეხი შეახვევინა. და აი, სასწაული — ის ისე გადახტა 14,91 მეტრზე, რომ თამასამდე 39 სანტიმეტრზე დაიწყო „გაფრენა“?! შემდეგ ცდაზე კი ცხადი ხდება, რომ მას ვერავინ აჯობებს — 15,11 მეტრი. მალე კუბელმა იარხელის სავინემაც ჩამოიტოვა უკან რუსეთელი — 14,82. ანას „ბრინჯაო“ მეექვსე ცდაზე 14,78-მეტრიანმა ნახტომმა მოაგებინა.

**სურათზე: იამაიკელი ტრესია სმიტის „ოქროს“ ნახტომი.**

## ჩემპიონი მობილურების ტყორცნაში

**ხუთი ქვეყნის 322 „მტყორცნელი“ მონაწილეობდა საქსონიის ქალაქ კამენცტონშერგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მობილური ტელეფონების ტყორცნაში.**

მამაკაცებს შორის პირველობა არავის დაუთმო მასპინძელმა — გერმანელმა შტეფან გროსმანმა, რომელმაც ტელეფონი 62,41 მეტრზე სტყორცნა. თუმცა ეს მაჩვენებელი ძალზე ჩამორჩება „სპორტის“ ამ სახეობაში ამასწინანდელ გერმანიის ჩემპიონატზე ტომას ჰედერის წარმატებას — 77,4 მეტრი, მაგრამ ჩემპიონობისთვის მაინც საკმარისი აღმოჩნდა.

ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვა კამენც-ტონბერგის მცხოვრებმა ტერეზე ფაბიანმა, რომელმაც „ჰენდი“ (ასე უწოდებენ გერმანიაში მობილურ ტელეფონს) 36,88 მეტრზე მოისროლა და მსოფლიო რეკორდსმენიც გახდა.

ჩემპიონატის მონაწილე „სპორტსმენების“ ამოცანა იყო, რაც შეიძლება, შორს ეტყორცნათ უბატერეებო აპარატი, რომელიც უხვად მოემარაგებინათ.

## ულამაზესი წყვილი

**იტალიურმა მასმედიამ ნამდვილი აჟიოტაჟი შექმნა მილანის „ინტერში“ მადრიდის „რეალიდან“ ლუიშ ფიგუს გადასვლის გამო.**

ყველაზე „ყვითელი“ გამოცემები კი განსაკუთრებულად გაახარა სულ სხვა რამემ: სახელოვან ფეხბურთელთან ერთად აპენინებზე გადადის მისი ცოლიც



— შვედი მოდელი ჰელენა სვედინი. ცოლ-ქმარი უკვე აღიარეს იტალიური ფეხბურთის ყველაზე ლამაზ წყვილად.

ფიგუს ცოლი ულამაზესად მიიჩნიეს ფეხბურთში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა თანამგზავრებს შორის. ჰელენა ხომ ამ ტურნირის თავისებური სიმბოლო გახდა.

მათ ერთმანეთი 1996 წელს ბარსელონაში გაიცნეს. ცნობილი მოცეკვავის ფლამენგო ჰოაკინ კორტესის სპექტაკლზე. დაქორწინდნენ 2001 წელს და ახლა ორ შვილს — 6 წლის დანიელას და 3 წლის მარტინს ზრდიან.

თუმცა ცოლ-ქმარს შორის ყველაფერი მშვიდად როდი მიდიოდა. როცა ფიგუმ თავისი შიშველი ცოლის სურათი იხილა, დიდი სკანდალი ატეხა, მაგრამ ის უკვე დავიწყებას მიეცა და ახლა ოჯახი იტალიაში გადასახლდა. თუმცა ჰელენას იტალიაში ბევრი კონკურენტი ეყოლება A სერიის ფეხბურთელების თანამგზავრების სახით, მაგრამ ფიგუთა წყვილი, იტალიური გაზეთების აზრით, შეუდარებელია.

აშენდა

## ვერხვების დასახლებაში



**გორში ამ ბოლო ხანს მრავალი მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი აშენდა. ერთ-ერთი ამას წინათ ე. წ. ვერხვების დასახლებაში გაიხსნა. კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ფეხბურთი... აირჩიე სპორტის სახეობა, ითამაშე, გაერთე და ორგანიზმიც გაიკაჟე.**

**ამირან ადამიშვილის ფოტო.**

ჭადრაკი ოთხშაბათობით

# ნოვატორი

**რიხარდ რეტი (1889, პეზინოკი, ბრატისლავასთან — 1929, პრაღა), დიდოსტატი, თეორეტიკოსი, საჭადრაკო კომპოზიტორი და ლიტერატორი. დიდი წვლილი შეიტანა ნახევრადდახურული დებიუტების დამუშავებაში. თეორიულად დაასაბუთა ახალი სადებიუტო სისტემა, რომელიც რეტის სახელითაა ცნობილი.**

პირველ წარმატებებს ვენაში მიაღწია (1909-1910 წ.წ.), სადაც ადგილობრივი მეცენატის — ტრებიჩის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

ვაქთა I მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე (1927) თამაშობდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების პირველ დაფაზე.

არაორდინარული სვლებით რეტის განცვიფრებაში მოჰყავდა მეტოქეები. ამის დადასტურებაა ხოსე რაულ კაპაბლანკასთან მოგებული პარტია (1924, ნიუ-იორკი).

სან-პაულუში (1925) რეტიმ თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — დაფაზე დაუხედავად ეთამაშა 29 კვალიფიციურ მოჭადრაკეს, რომელთაგან 20 მოიგო, 7 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ 2 წააგო.

რ. რეტიმ დაგვიტოვა მდიდარი საჭადრაკო მემკვიდრეობა. მან შექმნა ისეთი კომპოზიციები, რომლებიც გამოირჩევა რეტისეული ხელოვნებით.

**თამაზ შენგელია**

**რიხარდ რეტი**
**1921**



**სვლა შავებისაა.**
**ყაიმი**

**ცნობილი ეტიუდის მიხედვით, „თუ ორ კურდღელს გაედევნები — ერთს დაიჭერ“.**

**1. ...$h_5$ 2. მფ$g_7$ $h_4$ 3. მფ$f_6$ $h_3$ 4. მფ$l_6$ $h_2$ 5. $c_7$; 3....მფ$b_6$ 4.მფ$l_5$ $h_3$ 5. მფ$d_6$ $h_2$ 6. $c_7$**

**ალბომი**

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლის რვაწლიანი სკოლის პედაგოგთა ჯგუფი, დგანან (მარცხნიდან): ანტონ სალარიძე, ნოდარ ხუციშვილი, ვახტანგ კილაძე, კაკო გელაშვილი; სხედან: შალვა დროაევი, გიორგი გელაშვილი, შალვა ტაბატაძე, ბაგრატ კილაძე, გუგული სულაბერიძე, თამარ კილაძე, ეთერ გელაშვილი, სონია ლომიძე.

გადაღებულია 1954 წლის 3 მაისს.

მოგვაწოდა სიმონ კილაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

**ეს მშობლიური ქარია**

## დევიჯეროთ, მიშაც „ჭამს“?!

მივდივარ ქუთაისიდან ჩემი სოფლისკენ, ჩემი ძველი ოდა-სახლისკენ, მივდივარ ქუთაისი-ხონის გზით, მივდივარ კაია... რას მივდივარ – მივყანყალებ, მივჩაქჩაქებ ბუხუტიეს „ჟიგულით“... ერთ ორმოს რომ აუქცევს გვერდს, მეორეში უვარდება მანქანის საბურავი ბუხუტის, ატრიალებს გამალებით საჭეს, თან „ცხრასართულიანს“ უგზავნის ქუთაისის ქალაქის მერიას, იმერეთის მხარის ადმინისტრაციას, დავლეწე მანქანაო, რაც ამ უგზოობის გამო მაგათ მძღოლები აგინებენ, არ აცდეთ არც ერთიო, თვითონ სუქდებიან, ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათო... ვითომ მკაცრობს მიშა, მარა, მაინც ყოველ წუთში ატყუებენო... ამ ცოტა ხნის წინათ, ბათუმში რო ჰქონდა შეხვედრა გუბერნატორებთან, ნახე, რა ლამაზად დოუხატეს ყორიფელი?.. ქაჯაიას მოუსმინე, რა „პატაკი“ ჩააბარა?.. დაწყებულია, ბატონო პრეზიდენტო, ქუთაისში ცენტრალური გზების შეკეთებაო... ამხელა ტყული რამ გააბედია, კაცო!.. კარქი, ედიკას ატყუებდენ, მარა, დევიჯერო, მიშაც „ჭამს“?.. ასე აშენებენ მაგენი გზებს და ქვეყანას, ჩემო იმანო...

და, ბუხუტიმ, ერთიც მაგიანად შეიგინა.

## ერთხელ იმერეთში...

გალეულა ძსენია ბიცოლა – წელში მოხრილა, მუშტისტოლა გამხდარა... მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი. აბა, როგორ უნდა ვიყო, დედა, მარტოხელა მოხუციო. ამისთანა დროს რომ არ მოვსწრებოდი, კიდე არა მიშავდაო, გადაგვარდა კუთხე-მეზობელი, ჩვენ ქუჩაზე, ძე იცი შენ, რა ხალხი ცხოვრობდა, ერთმანეთის რა პატივცემა ჰქონდათ, გაუყოფელი იყო ჭირი და ლხინიო. იმათი მონაგარი კი, იცი, რა უკადრისს კადრულობს შვილო?.. არ დაუტოვეს მეზობლებს გარეთ ქათამი და სახლში – ჯამ-ჭურჭელი. წყლის საქაჩი მეღგა ჭაში და მომპარეს მა ულმერთოებმა, ოწინარის ჯაჭვიც ზედ მიაყოლეს და ჭიდან წყალი ველარ ამომაქ...

ვენერა გვიერთდება. შავქლიავა დაუკრეფია, კალათს შორე-ახლო დგამს, გაისველე პირიო, მერე ძსენიას ეუბნება სიცილით, ძსენო, შენ ის მოყევი, გუშინწინ, ნადული რაფერ მოგპარესო...

მოსაყოლი და გამოსაქვეყნებელი კი არა, თავსაჭერია მა ამბავი ჩვენი ქუჩისთვისო, უაროფს ძსენია.

მაინც, მაინც, რა იყო, ძსენია ბიცოლა?!

მე ხათრს ველარ მიტეხავს. რა იყო და, მაგათი გაწყვეტა (ქუჩის ბიჭ-ბუჭობას გულისხმობს). ნადული შევდგი დილას მაცივარში, (დენი იყო ბედად), გადავედი უკანა ეზოში, ბოსტანი ვმარგლე შუადღემდე, უშობელი გადავაბი, რამდენიმე ღერი პიტნა მოვპუტე ნადულის საკმაზად და შემოვედი „ქუხნაში“, დავნაყე პიტნა და მაცივარი რო გამოვალე, სადაა ჩემი ნადული!.. იქვე ორი წველა ყველი იდო და ისიც გოუყოლებია ვიღაც არგადასარჩენს...

„რა უნდოდა ყველს მაცივარში, ყველი ხალამში ვიცი მე“, – უჩმახებს ვენერა.

„კაი, თუ ქალი ხარ, ხალამიდან არ მოპარეს იმ დღეს შურას ათი კილო ყველი?.. წასულია საქმე, წასული... მე რა შვილო, მე ცალი ფეხი სამარეში მაქ, მარა, თქვენ რა გეშველებათ, ამ ახალგაზრდებს რა ეშველება, ქურდბაცაცებად რო იზრდებიან?!..“

რით ვანუგეშო დედაბერი?.. ვუთხრა – გაცვეთილი: „ყველაფერი კარგად იქნება?“.. მაინც, როდისღა იქნება კარგად?.. ფაქტია, რომ ერთხელ საქართველოში (ამას მერე იტყვიან ჩვენი შთამომავალნი), ზნეობით განთქმულ იმერეთში ქვრივობოლსა და მარტოხელა დედაბერს ლუკმას აცლიდნენ პირიდან, ვაი, სირცხვილო, იჯრა ნადულს იპარავდნენ და სხვა ათას უმსგავსობას სჩადიოდნენ!..

იმე, ჩვენ რავა ჩამოვჯექით აქაო, შეიცხადეს ძსენიამ და ვენერამ, ეს კაცი მოშიებული იქნებაო... ახლა სოსო მიყვება სოფლის გაჭირვებას. ჯერ წვიმამ და წყალდიდობამ წაგვილოო, გუბიწყლის პირზე კიტრი მეთესა, ავ თვალს არ ენახვებოდა, ერთიანად ჩარეცხა წყალმაო. ახლა, ძე ხედავ, რა სიცხეა, რა ხანია, წვიმას ველით, ყოველ საღამოს იღრუბლება და საშველი არ ჩანს, ჩახმა ყველაფერიო... გვიერთდება აჩიკო, საზამთრო და ნესვი ამოუჩრია, დააგორა მწვანეზე, გადამეხვია...

ეს შენი წილი ვიჩინაა, იცოდეო, ესეც, ხაჭაპურებიო, თეფშებს დგამს მაგიდაზე ეთერი...

„რაფერ მოასწარი ასე უცებ...“ – ვამბობ უხერხულად.

ფოთოლას ცხელი მჭადები და ყველი მოაქვს, კლარას კიტრისა და პამიდვრის სალათა ნიგვზით შეუკაზმავს.

შემოდის გივი, ათლიტრიანი შემოაქვს, შენ წელს ჩემი ღვინო არ გაგისინჯიაო, „მოდი კაცო, გამომატანიე მაგიდა, აქვერ დაეტევით“, – ეუბნება აჩიკოს ლანა და მაღლელვის ძირში იშლება იმერული, სამეზობლო პურ-მარილი.

მერე, გვიან, ჩემ ოდაში მეღვიძება. ჩახუთულია ყველაფერი. ჩავლილი დღის ამბებს ვიხსენებ. როგორ უცებ გააწყვეს მაგიდა, როგორი გულგაშლილები არიან, უჭირთ, ფული განსაკუთრებით უჭირთ... როგორ თქვა გივიმ? ას კილო კიტრში ოცი ლარი ავიღეო, ხუთი ლარი ქუთაისამდე ჩატანა და ბაზარში დადგომა დამიჯდაო...

ასე წვალობენ, ახლა „ელიობის“ იმედით არიან, აუცილებლად მოწვიმსო... ღმერთო, უსმინე!..



## „რაფერ მოასწარი ასე უცებ“...

ამ ლაპარაკში ვართ და ჭიშკარი სოსომ შემოაღო – ბავშვობის ძმაკაცმა – სოსია თავსივამ. სად ხარ, რავა დეიკარგეო, ჩაილაპარაკა და ღვინით სავსე ბოცა ქვის მაგიდაზე შემოდგა. ვა-

P. S. **სანამ მე თბილისში მოვბრუნდი, სანამ ეს ყველაფერი თქვენ მოგიყევით, ერთ კვირაზე მეტი გავიდა. გუშინ დავრეკე სოფელში. რას შვებით, თუ გაწვიმდა-მეთქი.**

**წვეთი არ გადმოვარდნილაო, აჩიკომ.**

**ვილენ მარდალეიშვილი**

**საეკლესიო კალენდარი**



## ღირსი გიორგი მაშენებელი – ათონელი (1029 წ.)

**10 აგვისტოს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს გიორგი მაშენებელს.**

ღირსი გიორგი მაშენებელი იყო ათონის ივერთა მონასტრის მესამე იღუმენი, როგორც ათონელ მამათა ცხოვრების აღმწერელი გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, მონასტრის პირველი იღუმენი ღირსი იოანე იყო, მეორე – თავისი შვილი ექვთიმე, ხოლო მესამე – თავისი ძმისწული – გიორგი ათონელი.

გიორგი ათონელმა ააშენა ივერონის მთავარი ტაძარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა.

ტაძრის წარწერაში ნათქვამია: „მე დავამტკიცენ სუეტნი მისნი და უკუნისამდე არ შეიძრნენ. გიორგი მონაზონი, ქართველი და მაშენებელი“.

ივერონის წინამძღვარს დიდ პატივს სცემდნენ ბიზანტიის იმპერატორის კარზე.

ათონის ივერთა მონასტრის საგანგებოდ გამზადებულ მარმარილოს ლუსკუმაშია ჩასვენებული წმიდა გიორგი მაშენებლის ცხედარი.

ათონის მონასტერში წმინდა გიორგი ათონელის ხსენება იოანესა და ექვთიმესთან ერთად აღესრულება.

**გვემრავლოს!**

# დას ოთხი ძმა მაყრად გაჰყვება

**– სისტემატურად ვკითხულობ თქვენს გაზეთს. საინტერესოა, თუ ჩვენთან ჯიხურში ვერ მივუსწარი, მეზობელს „საქართველოს რესპუბლიკა“ თბილისიდან ჩამოაქვს ხოლმე.** ისე, როგორც სხვისი ოჯახის გამრავლება მახარებს, მსურს ჩვენი ოჯახის სიხარულიც გაგიზიაროთ. ჩემს შვილს სოსოს მეხუთე შვილი შეეძინა (სკოლის დამთავრებისთანავე დაქორწინდნენ თანაკლასელები სოსო და ეთერი). ლევანს, ირაკლის, დათოს, თენგოს ამ დღეებში მეხუთე – დაიკო ნესტანიც მიემატა.



ახალგაზრდა ოჯახს შვილების გაზრდაში მე და ჩემი მეუღლეც ვეხმარებით. ერთად ვცხოვრობთ. მიხარია, რომ წარმოვიდგენ – დას 4 ძმა ქორწილში მაყრად გაჰყვება.

**დავით კუდუხაშვილი, რუსთავი.**

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

**ცოტაც გავიღიმოთ...**



**სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდები მიმდინარეობს.**

**– რას აღაგზნებს კოხის ჩხირი? – ეკითხება პროფესორი სტუდენტს.**

**– კოხის ცოლს.**

* * *

**მივლინებიდან დაბრუნებულ მაროს სამზარეულო ცარიელი ბოთლებით სავსე დახვდა.**

**– საიდან გაჩნდა აქ ისინი? – მკაცრად ეკითხება მიხოს.**

**– მეც მიკვირს, დამიჯერე, არც ერთი ცარიელი ბოთლი არ მიყიდია...**

* * *

**– ახლახან ჩვენი გოგოს დღიური წავიკითხე და ისეთ რაღაცეებს წავაწყდი, კინაღამ ჭკუიდან გადავედი, – ეუბნება პეტკა სამსახურიდან დაბრუნებულ ცოლს.**

**– რა, რაიმე ბავშვურ ოინებსა და საიდუმლოებაზეა საუბარი?**

**– რა ბავშვურზე. ის ხომ უკვე მეხუთე კლასშია!**

* * *

**– რომელ გუნდს გულშემატკივრობთ? – ეკითხება პარიკმახერი კლიენტს.**

**– იმას, რომელსაც თქვენ.**

**– მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, რომელია ჩემი საყვარელი გუნდი?**

**– სამაგიეროდ ის ვიცი, რომ ხელში სამართებელი გიჭირავთ.**

* * *

**გუშინ მე და ბაბუაჩემი პულსის დაკარგვამდე ვიცინოდით. მოულოდნელად მან გაიმარჯვა...**



ოდითგანვე ნიორი ითვლებოდა შესანიშნავ სამკურნალო საშუალებად. მას ხმარობდნენ, შხამის საწინააღმდეგოდ, მოწამვლის შემთხვევაში, ნიორით აშუშებდნენ ჭრილობებს. ხახვი და ნიორი ნაპოვნია ეგვიპტის სარკოფაგებში, მუმიებთან ერთად. სხვათა შორის, უბრალო ხალხს ანუ მდაბიოებს, აკრძალული ჰქონდათ ხახვის გამოყენება, რადგან ის ითვლებოდა ღმერთ-ქალის ისიდას მცენარედ.

* * *

1328 წელს დათარიღებული გერმანელი მეფის სიგელი ქადაგებდა: „უდიდესი ჯარიმა დაეკისრება ყველას, ვინც პატარა ჩიტს, წიწკანას დაიჭერს, რომელიც ანადგურებს მწერებს. კანონის დამრღვევმა უნდა გადაიხადოს 60 შილინგი, ერთი მწითური დედალი და 12 წიწილა, დაჭერილი ფრინველის საფასურად“.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური – 022;**

**გენერალური პროკურატურა – 99-74-10;**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;**

**ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;**

**იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;**

**ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;**

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;**

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;**

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;**

**შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;**

**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;**

**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;**

**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;**

**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;**

**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;**

**ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.**

**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.**

**ლარის კურსი**

**10 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2148 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8026 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2299 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0635 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3861 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3995 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6270 ლარი. |

**ამინდი დღეს**

| 10 აგვისტო | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 36⁰ | 22⁰ |
| ბათუმი | 33⁰ | 23⁰ |
| სოხუმი | 34⁰ | 23⁰ |
| ქუთაისი | 36⁰ | 23⁰ |
| თელავი | 32⁰ | 21⁰ |

**ხსოვნა**



## გივი ბარბაქაძე

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის საპატიო მუშაკი, შრომის ვეტერანი, გივი გიორგის ძე ბარბაქაძე.

გივი ბარბაქაძე დაიბადა 1930 წლის 13 ივნისს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბაბში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1957 წელს, სპეციალობით: „ნავთობისა და გაზის საბადოების ექსპლუატაცია“.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გივი ბარბაქაძე მუშაობას იწყებს „საქნავთობში“ და ამ სისტემაში მუშაობს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. 48 წლის განმავლობაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. ტექნიკის გეოფიზიკოსი, თემატური პარტიის უფროსი, ჭაბურღილების გამოცდის კანტორის ტექნიკური განყოფილების უფროსი, სამონტაჟო კანტორის მთავარი ინჟინერი, „ნავთობგაზმიების“ სამმართველოს მთავარი მექანიკოსი.

გივი ბარბაქაძე იყო უაღრესად ერუდირებული, კვალიფიციური, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, პროფესიონალი და შრომისმოყვარეობით გამორჩეული მუშაკი.

მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც წარმატებით განაგრძობენ მუშაობას საქართველოს ნავთობის მრეწველობაში.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, სპეტაკი კაცი, კეთილი, შრომისმოყვარე, დაუზარელი საქმეში, სიკეთის მთესველი, შესანიშნავი მეგობარი, მეუღლე, მამა და ბაბუა.

არ შეიძლება, რომ გივი ბარბაქაძის მსგავსი პიროვნება მალე მიეცეს დავიწყებას, იგი მის ნამოღვაწართან ერთად დიდხანს ემახსოვრებათ მის გვერდით მომუშავე თანამშრომლებს.

**სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ კოლექტივი.**

**გიგილო სულაძე გარდაიცვალა.**
**აჩიკო ერგემლიძის ოჯახს გამოაკლდა უფროსი სიძე.**



მეუღლე მარიკა-დოდო ერგემლიძე, შვილები ნუცა, მიშიკო სულაძეები იუწყებიან
გიორგი-გიგი სულაძის
გარდაცვალებას.

პანაშვიდი 10 VIII, 18 სთ. ფალიაშვილის ქ. № 41, II სადარბაზო. გამოსვენება 11 VIII, 15 სთ. ვერის წმინდა პანტელეიმონის ტაძრიდან.

ლეილა ბურჭულაძე, მარიკა-დოდო, ნანა, გიგა ერგემლიძეები, ნუცა, მიშიკო სულაძეები, კოტე, მარიამ, ნინო, კოტიკო ლაშხები იუწყებიან
გიორგი-გიგი სულაძის
გარდაცვალებას.



მეუღლე ვალენტინა, შვილები ლია, აკაკი, კოკი, ძმა იურა, შვილიშვილები მიშა, ია, თამუნა, ლიკა, მიშიკო, სალომე, შვილთაშვილები ნინო რამიშვილი და ნუცა გოგიბედაშვილი, რძლები ცირა ბუზალაძე, ნუნუ ლატარია, სიძე თემურ გოგიბედაშვილი, ცოლისდა ნათელა, ცოლისძმა გიორგი ფარემუზაშვილები, ქვისლი გიორგი ხორგუაშვილი ოჯახებით, ნათესავები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მიშა აკაკის ძე მინდაძე

პანაშვიდი 11, 12 VIII, დაკრძალვა 13 VIII, 14 სთ, კასპი, აღმაშენებლის ქ. № 8.



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ადმინისტრაციული სამართლის კათედრის უკეთილშობილესი და უნიჭიერესი ახალგაზრდა
კახაბერ კერესელიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის დოცენტის ჯაბა კერესელიძის შვილი
კახაბერ კერესელიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეზო გოგშელიძე და ნონა თოდუა ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
კახაბერ კერესელიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ალექსანდრე მუჯირი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრის, ცნობილი მეცნიერის, პროფესორის
ვლასი გოგლიძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს თანამშრომელი
როინ მჭედლიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რომან კოპლატაძე ოჯახით თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს ბატონ დურმიშხან ცინცაძეს დედის, ქალბატონ
ზინა ვიქტორის ასულ კახიანი-ცინცაძის
გარდაცვალების გამო.

შვილები დურმიშხან, ჯემალ ცინცაძეები, რძლები ირინა არჩვაძე, ირინა ასიაშვილი, შვილიშვილები ქეთევან, მაკა, თამარ ცინცაძეები, თინა, ნინო, გია იმხნელები, ძმა ოთარ კახიანი, გაზრდილი სულიკო კუბლაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზინა ვიქტორის ასული კახიანი-ცინცაძისა

დაკრძალვა 13 VIII, 15 სთ. ჩოხატაურის რაიონი სოფელი ზემო ფარცხმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.